MES 3 21 0001158334

29/10/2021

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი: 15.10.2021**
**სხდომის დაწყების დრო: 15:05 სთ**
**სხდომის დასრულების დრო: 19:13სთ**
**სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე;**
**საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**
**1. ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**2. მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
**3. გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
**4. ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**5. ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
**6. გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
**7. ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
**8. ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
**9. გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
**10. დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
**11. დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
**12. ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
**13. თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**14. თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
**15. მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
**16. ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

**სხდომაზე დამსწრე პირები**
**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

| N | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---|---|
| 1 | თამთა ანთიძე | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი |
| 2 | ქრისტინე აბულაძე | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი |
| 3 | ნინო გულიაშვილი | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი |

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

| N | სახელი, გვარი | საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება | სტატუსი | საკითხი |
|---|---|---|---|---|
| 1 | დავით თარხნიშვილი | | დეკანი, პროფესორი | I, II |
| 2 | ნინო ჟვანია | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | I, II |
| 3 | ივანე აბიათარი | | | I |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი | მედიცინის სკოლის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი | |
| **4** | გიორგი გოცაძე | | პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი | **I** |
| **5** | ნინო მირზიკაშვილი | | პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი | **I** |
| **6** | კორტ ანდერსონი | | პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი | **II** |
| **7** | მარინე მურცხვალაძე | | ასოცირებული პროფესორი | **II** |
| **8** | ირინე შოთაძე | შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია | რექტორი | **III, IV** |
| **9** | მარიამ ჯაში | | რექტორის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე | **III, IV** |
| **10** | თამარ გაიხარაშვილი | | რექტორის მოადგილე | **III, IV** |
| **11** | ნინო კეკენაძე | | მედიცინის სკოლის დეკანი | **III, IV** |
| **12** | ცისანა ლომაშვილი | | პროგრამის ხელმძღვანელი | **III, IV** |
| **13** | მაია ზარნაძე | | პროგრამის თანახელმძღვანელი | **III, IV** |
| **14** | ეკატერინე კლდიაშვილი | | სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის სამსახურის უფროსი | **III, IV** |

**აკრედიტაციის ექსპერტები:**

| **N** | **სახელი, გვარი** | **ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ** | **საკითხი** |
|---|---|---|---|
| 1 | თამარ ლობჯანიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 2 | ირინე ფხაკაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I, III, IV |
| 3 | ნინო ქიმერიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 4 | ნათია ნოღაიდელი | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 5 | ელენე ხურციძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 6 | ნინო ქედელიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 7 | ნათია ღაჭავა | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 8 | ქრისტინე ჩიხლაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 9 | დავით ჯიქია | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 10 | გვანცა ძიძიგური | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 11 | ია ფანცულაია | (ჩაერთო „ზუმით“) | III, IV |

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნინო იმნაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა

უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: **15:05** საათზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**
1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი გენეტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „სამკურნალო საქმის“ ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან დამტკიცების შესახებ“ შესაბამისობაში მოყვანის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან დამტკიცების შესახებ“ შესაბამისობაში მოყვანის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- არა

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**
1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი გენეტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „სამკურნალო საქმის“ ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან დამტკიცების შესახებ“ შესაბამისობაში მოყვანის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან დამტკიცების შესახებ“ შესაბამისობაში მოყვანის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

**1. პირველი საკითხი:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

---

| № | ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის პოლიტიკა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მეშვიდე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0919 ჯანდაცვა – არაკლასიფიცირებული |
| 12 | სწავლების ენა | ინგლისური |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 ECTS |
| 14 | განხორციელების ადგილი | გ. წერეთლის №3, 0162 თბილისი, საქართველო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის G, T და S კორპუსები |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- დიახ

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა - ელენე ჟურავლოვამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**
სხდომის თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თამარ ლობჯანიძე, მიესალმა საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის პროცესში კეთილგანწყობილი გარემოსთვის, რამაც მისცა ექსპერტთა ჯგუფს საშუალება დაესვათ მათთვის სასურველი კითხვები და მიეღოთ პასუხები. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. სესიებს ესწრებოდა ყველა ძირითადი განმახორციელებელი პერსონალი, ასევე შეხვდნენ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებს, რომელთაგან შეექმნათ შთაბეჭდილება, თუ როგორ იმუშავებს სამაგისტრო თეზისის ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა რჩევები და რეკომენდაციები, რომელთა შესახებაც დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების შემდეგ აღწერეს თუ რა გაითვალისწინეს და რა ვერ გაითვალისწინეს.

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**
**კომპონენტი 2.2**
1.პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში განსაზღვრულ იქნეს შიდა საუნივერსიტეტოზეპირი გამოცდის ძირითადი დარგობრივი მიმართულებები საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპეტენციის სფეროებიდან გამომდინარე;
2. გათვალისწინებულ იქნეს საერთაშორისო გამოცდილება და არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის აპლიკანტებისთვის მოთხოვნილი იქნეს კონკრეტულად საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით ცოდნის დადასტურება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმებით, განსაზღვრული მოცულობით (კრედიტები) დასრულებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შინაარსის კურსები, ასევე დარგობრვი უნარების დადასტურება სამუშაო გამოცდილების, ან კვლევითი საქმიანობის ან სხვა სახით;
სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოს წევრები იცნობდნენ დასკვნას და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს სთხოვა შეჯამებული ინფორმაცია მიეწოდებინა საბჭოსთვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამა არის კარგი და ადამიანური რესურსი, რომელიც ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას აქვს დიდი გამოცდილება, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო სივრცეშიც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ასეთი გააზრებისა და კონცეფციის მქონე პროგრამა ასევე მნიშვნელოვანია საქართველოსა და მსოფლიოსთვის, რადგან პანდემიის პირობებში ნათლად გამოჩნდა სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების საკითხის შედეგი. პროგრამა არის ინტერსექტორული, რასაც მისი წინაპირობებიც მოწმობს, მისი მოსაზრებით ასეთი პროგრამის არსებობა საქართველოსთვის მონაპოვარია.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ნინო ჟვანია, მიესალმა საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. რეკომენდაციებზე სასაუბროდ მან სიტყვა გადასცა პროგრამის ხელმძღვანელს, გიორგი გოცაძეს.
პროგრამის ხელმძღვანელი, გიორგი გოცაძე, მიესალმა საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაცემული რეკომენდაციებისთვის. დაწესებულების წარმომადგენლებმა ბევრი იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე, მათ გათვალისწინება - არ გათვალისწინებაზე, მათი მოსაზრებით რეკომენდაციები ვალიდურია, თუმცა ისინი მსჯელობდნენ შედეგებზე, რადგან, როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ახსენა პანდემიამ აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჯანდაცვა, რომელიც არ არის მკაცრად დეფინიცირებული და წითელ საზღვრებში ჩაყენებული დარგი, რომლისთვისაც ბევრი ინტერსექტორალური თანამშრომლობა არის აუცილებელი, რათა საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნები იყოს მიღწეული. პროგრამას ჰქვია „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის პოლიტიკა“, რადგან განსაკუთრებით პოლიტის ნაწილში ძალიან ბევრი მონაწილეობას იღებენ მულტიდისციპლინური გამოცდილების/ცოდნის მქონე ადამიანები. დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში შესაძლებელია მოუწიოთ წინაპირობების დავიწროება და ისეთი წითელი ხაზების დაყენება პროგრამის მიღების წინაპირობებში, რომელიც შემზღუდველი იქნება და არ მისცემს თავისუფლებას, მაგ., პოლიტიკის მეცნიერების განათლების მქონე სტუდენტი დაუშვან პროგრამაზე, რომლის მონაწილეობაც საინტერესო იქნებოდა, ან მათემატიკოსთა მონაწილეობა დაუშვან, რომელთა მოდელირების უნარები, როგორც პანდემიამ აჩვენა აბსოლუტურად აუცილებელია და ამასთანავე ამის დეფიციტია ქვეყანაში, აქედან გამომდინარე მიღების წინაპირობებს აქვს 5 კრიტერიუმი: ფასდება საბუთები, რომლებსაც აპლიკანტი აგზავნის და აღნიშნული წინაპირობებიდან ექსპერტთა ჯგუფს ნანახი აქვს სამი მათგანი უშუალოდ კონცენტრირება დარგობრივ ცოდნაზე, ანუ აპლიკანტმა უნდა აჩვენოს, რომ რაღაც ცოდნა აქვს ამ დარგში, რომელიც შეიძლება არ იყოს კლინიკურ-ანატომიური და ეპიდემიოლოგიური, მაგრამ რატო მიდიან აღნიშნულ პროგრამაზე სამოტივაციო წერილში და სხვა დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს, რომ აქვთ დარგობრივი საბაზო ცოდნა, მათ მიერ გაცემული პასუხები მიღების დროს არის რელევანტური, დარგობრივი დიკუსიის უნარი გააჩნიათ და ისინი ფლობენ თანამედროვე ცოდნას, დაწესებულების წარმომადგენლები შეეცადნენ, რომ 5-დან 3 უფრო ფართო კრიტერიუმი აერჩიათ და შემდეგ მიეცათ უფლება 3 თუ მეტი საკითხის მიხედვით განესაზღვრათ რამდენად გააჩნიათ ან არ გააჩნიათ ადეკვატური ცოდნა, უნარ-ჩვევები და გამოცდილება ამა თუ იმ ადამიანს, რომელიც დაშვებული იქნება პროგრამაში, აქედან გამომდინარე ფრთხილობენ რეკომენდაციის გათვალისწინებას, რადგან შესაძლებელია იმდენად დაავიწროვონ მიღების წინაპირობები, რომ ვერ მიიღონ ძალიან საინტერესო კადრი, რომელსაც სურვილი ჰქონდა პროგრამაზე სწავლის, დავიწროებისა და კრიტერიუმების შეზღუდვის შემთხვევაში არ დადგნენ ამ რისკის ქვეშ.
მედიცინის სკოლის ხელმძღვანელი, ივანე აბიათარი მიესალმა საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის დადებითი შეფასებისთვის. მემორანდუმებთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ ესმის პათოსი - იყოს უფრო დეტალიზებული დოკუმენტაცია, თუმცა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები არის ძალიან ზოგადი ხასიათის, ამ შემთხვევაშიც მემორანდუმები, რომლებიც გაფორმებულია პარტნიორ დაწესებულებებთან ხშირ შემთხვევაში ფარავს რამდენიმე პროგრამას, მაგ. აღნიშნულ სკოლაში არის სადოქტორო საფეხურის პროგრამები, რომელთა განხორციელებაშიც ჩართულნი არიან პარტნიორი ორგანიზაციები, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალია, არ ჰყავს სტუდენტები და არ არის კონკრეტული საჭიროებები დაფიქსირებული გარკვეულ დროში, მისი მოსაზრებით ძალიან

რთულია ურთიერთ თანამშრომლობითი მემორანდუმების მეტად დეტალიზება. რაც შეეხება პრაქტიკის ნაწილს, რომელიც ხორციელდება პარტნიორ დაწესებულებებში რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტით.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ, სწავლების მეთოდების დაზუსტების შესახებ განაცხადა, რომ PBL-თან დაკავშირებით მიიღეს ტექნიკური შენიშვნა რაც დაკორექტირდა სილაბუსში. გადამზადების შესახებ რჩევასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ შეთავაზებულია პერიოდული ტრენინგები, მათ შორის აქტიური სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით, ამიტომ ამ ნაწილში შესაძლებლობა აქვთ, რომ მიაწოდონ სერვისი პერსონალს.
კურიკულუმში სწავლების მეთოდების სრული სიის ასახვის შესახებ, მისი განმარტებით ძალიან გრძელი სია გამოვა, ამიტომ კურიკულუმში არის ჩანაწერი, იმის შესახებ, რომ ზუსტი სია მითითებულია ინდივიდუალურ სილაბუსებში, მისი მოსაზრებით ეს რჩევითი ხასიათის რეკომენდაცია უფროა, ვიდრე ხარვეზი.
სამაგისტრო ნაშრომის შესახებ განაცხადა, რომ როგორც კვლევის ანგარიში ფასდება მხოლოდ ერთხელ, მაგრამ ფასდება სხვადასხვა მონაწილის მხრიდან: ხელმძღვანელის, რეცენზენტისა და კომისიის მხრიდან, ამიტომ შესაძლებელია მრავალკომპონენტიანი შეფასება ეწოდოს, რაც მთავარია ნაშრომის შეფასება არ ითვალისწინებს სემესტრის განმავლობაში შუალედურად უკუკავშირის მიღებას, რაშიც იგულისხმება შემაჯამებელი უკუკავშირი, თუმცა მაფორმულირებელი უკუკავშირი მიეწოდება სტუდენტს სემესტრის განმავლობაში, რასაც ემსახურება პროგრეს ანგარიშების შემოღება, რომელიც ასახულია კონცეფციაშიც. რაც შეეხება ნაშრომს, კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ ნაშრომი ფასდება ერთხელ, თუმცა 3 მხრიდან, ამასთანავე ხელმძღვანელი აფასებს არა მხოლოდ ნაშრომს, არამედ პროცესსაც, რადგან მნიშვნელოვანია შეფასდეს ავტონომიურობა, მისი სამეცნიერო ხედვა და ა.შ. რასაც ხელმძღვანელი უფრო მეტად ხედავს.
ორ კომპონენტიანი შეფასებების შესახებ მან განმარტა, რომ ეს არის უფრო რჩევა ვიდრე რეკომენდაცია, რადგან ასეთი მოთხოვნა არ არის და დაწესებულება არ არღვევს გარე რეგულაციებს.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო მირზიკაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს ვალიდური რეკომენდაციებისათვის და განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდათ ცხარე დისკუსია რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა, მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. მან 2.6 კომპონენტთან, სამაგისტრო ნაშრომის ერთჯერად შეფასებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა უკვე ისაუბრა აღნიშნულ საკითხზე, თუმცა საბჭოს სჭირდება ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება, რა კითხვები დასვეს ვიზიტის განმავლობაში რამაც გააჩინა ეჭვი დოკუმენტაციის არასრულფასოვნების შესახებ, ერთჯერადობა არ არის დაცული, თუ საჭიროებს კორექტირებას.
15:28 საათზე საბჭო დატოვა თამარ ჩხეიძემ.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. მისი კითხვა ეხებოდა შრომის ბაზრის კვლევას, სადაც წარმოდგენილი იყო სამი რესპოდენტის ფოკუს-ჯგუფის შეხვედრის მონაცემები, მიუხედავად იმისა, რომ მას ეჭვი არ ეპარება არც ერთი რესპოდენტის კვალიფიციურობაში, დაინტერესდა თუ რამდენად ვალიდურია 3 რესპოდენტი და ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი კვლევის გაფართოება. მისი თქმით გაეცნო ეკონომიკური ბლოკსა და მენეჯმენტს, სადაც ყველაფერი კარგად არის აწყობილი მაგრამ „ჯანდაცვის ეკონომიკა“ ძალიან ფუნდამენტური საგანია, რომელსაც ასწავლიან ყველანაირი წინაპირობის გარეშე, მაგ., მოდის სტუდენტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან, რომელსაც არაფერი არ აქვს მოსმენილი ეკონომიკიდან და პირდაპირ სწავლობს ჯანდაცვის ეკონომიკას, რომელიც შემდეგ წინაპირობაა ძალიან კარგი საგნის - „ჯანდაცვის პოლიტიკური ეკონომიკის ანალიზის“, სადაც

მარტო ეკონომიკა არ არის, გადაწყვეტილებების მიღების მეთოდიკაც არის გაფანტული, დაინტერესდა ეკონომიკის არ მცოდნე სტუდენტისთვის ხომ არ არის სირთულე ზემოაღნიშნული საგნის დაძლევა და ხომ არ არის მიზანშეწონილი ამ ტიპის მაგისტრებისათვის კურიკულუმს გარეთ გაითვალისწინონ რაიმე სპეციფიური საგანი, მაგ., პრინციპები, რომელიც ზოგად წარმოდგენას შეუქმნიდა ეკონომიკაზე, რომ შემდეგ ჯანდაცვის ეკონომიკა უფრო მარტივად დაეძლიათ.

საბჭოს წევრი, თეონა მატარაძე, მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. მან კითხვით მიმართა ექსპერტებს, რომ დაწესებულებისგან არგუმენტირებული პასუხის მოსმენის შემდეგ რა გამოწვევას ხედავენ ექსპერტები, რომ ამავე სახით დარჩეს წინაპირობები და თუ არის სასწავლო კურსები, რომლებიც მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნას და წინაპირობების გათვალისწინების შემთხვევაში მათ კომპეტენცია ვეღარ გავა შედეგზე და რატომ არ იზიარებენ დაწესებულების პოზიციას.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, განაცხადა, რომ საჭირო და კარგი პროგრამაა, ამასთანავე ჯგუფი, რომელიც ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას, უმჯობესი იქნება, თუ კი კორონავირუსის მართვაში იქნება აქტიურად ჩართული, რადგან მას მეტი იმედი ექნებოდა, რომ ქვეყანა გადალახავდა/გადაჭრიდა აღნიშნულ პრობლემას. მისი განცხადებით, დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაციას PBL-სა და Case Study-ს შესახებ, თუმცა საბჭოს წევრი დაინტერესდა რა მხრივ იყო რეკომენდაცია მიღებული, რადგან თვითონ მომიჯნავე დარგის სპეციალისტია და შესაძლებელია Case Study ისე შემოატრიალონ, რომ გახდეს PBL, შესაბამისად, დაინტერესდა აღნიშნული საკითხით.

საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი, მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა შეფასების სქემასთან დაკავშირებით, თუმცა საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ პროგრამის შეფასების ნაწილში მოცემულია მხოლოდ 100 ქულიანი სისტემის გრადაცია, რაც საკანონმდებლო ნორმაა და რამდენად საკმარისი იქნება პროგრამით დაინტერესებული პირისთვის, რომ მისთვის გამჭვირვალე და ნათელი იყოს თუ როგორ იქნება შეფასებული სტუდენტის ცოდნა, რა კრიტერიუმები და ზოგადი მოთხოვნებია წაყენებული, ასევე სილაბუსების ნაწილში მოცემულია რუბრიკები, თუმცა დაინტერესდა თუ რამდენად საინტერესო იქნება პროგრამის ნაწილში აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება.

**15:33 საათზე საბჭოს შემოუერთდნენ დავით კაპანაძე და თამარ ჩხეიძე.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ ლობჯანიძემ, განაცხადა, რომ წინაპირობები უმნიშვნელოვანესი საკითხია, საბჭოს წევრის მიერ ჩამოყალიბებული პოზიცია აბსოლუტურად გასაგებია, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფს აქვს კვალიფიკაციათა ჩარჩო, რომელშიც ჯანდაცვის ქვეშ მოქცეულია საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ჯანდაცვის პოლიტიკის რუბრიკა, სადაც ძირითადად შესაძლებელია სწავლა განავითაროს სამედიცინო, უმეტესად ჯანდაცვის მიმართულებით განათლების მქონე ადამიანმა, როდესაც მსჯელობაში ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა აღნიშნული მომენტი, მიუთითეს, რომ არსებობს უფრო მეტად ინტერსექტორული და ფართოდ გაშლილი საზოგადოებრივი ჯანდაცვის რუბრიკაც, რომელიც გამოყენებული მას არ უნახავს, სადაც შესაძლებელია სხვა პირობები იყოს და სხვანაირი კურიკულუმი არსებობდეს, თუმცა ასევე მოყვანილია თვითშეფასებაში, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაშიც და დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხშიც, რომ ასეთი მიმართულების მქონე პროგრამებს აუცილებლად სთხოვენ გარკვეული ცოდნის წინასწარ დადასტურებას, არა მხოლოდ გამოცდით, არამედ მათი განათლებიდან გამომდინარე, მაგ., ტრომსოს ვარიანტი, რომელიც აძლევს Public Health-ის მაგისტრის წოდებას, მაგრამ მოითხოვს, რომ თუ არ არის მედიკოსი, სტომატოლოგი ან სხვა სახის სამედიცინო განათლების მქონე პირი მას ჰქონდეს ცოდნა რელევანტური დარგებისა, რაც 80 კრედიტს მოითხოვს, სხვისი კრიტერიუმი შეიძლება იყოს კვლევებში ჩართულობა, ითხოვენ გარკვეულ პოზიციებს, სწორედ ამიტომ იყო, რომ რეკომენდაცია არ არის დავიწროება, „პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში განსაზღვრულ იქნეს შიდა საუნივერსიტეტოზეპირი გამოცდის ძირითადი დარგობრივი მიმართულებები

საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპეტენციის სფეროებიდან გამომდინარე“ იმგვარად არის წარმოდგენილი, რომ თუ წინაპირობა იქნება განსაზღვრული მოთხოვნა ელემენტარული ცოდნის, ჯანდაცვის ეკონომიკის, ეპიდემიოლოგიისა და სხვა უფრო რელევანტური იქნებოდა, რადგან კურიკულუმი კარგად არის აგებული და დაფუძნებულია წინაპირობაზე, ასეთი ჩარჩო, ვიღაცამ რომ უთხრას არ არსებობს. ამიტომ, თუ წინაპირობას ისე ჩამოაყალიბებენ, რომ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ნაწილზე იქნებოდა აგებული და ამავე დროს ექნებოდათ სამედიცინო პრაქტიკის სამედიცინო ცოდნის ელემენტები, აღნიშნული გაამართლებდა, ვიდრე ყველაფრის გამოკითხვა, რადგან ეს არის ორგანიზაციის პოზიცია, მათი ხედვა, თუმცა აპლიკანტისთვის ნაკლებად გასაგები იქნება. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო დონეს ესაჭიროება დახვეწა, როგორც დაიხვეწა საბაკალავრო დონე, ასე ესაჭიროება სამაგისტრო დონესაც, რა მოთხოვნები აქვს საზოგადოებრივ ჯანდაცვას, ეს ყველაფერი წარმოადგენს მსჯელობის საგანს, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით თუ იქნება გამოკვეთილი წინაპირობა უკეთ მოახერხებს აპლიკანტი პროგრამაზე მორგებას.

ექსპერტი, ირინე ფხაკაძე, მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ კითხვა დასმულ იქნა ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულების წარმომადგენლებმა და პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა დაადასტურა, რომ შეფასება მოხდება ერთჯერადად, თუმცა დოკუმენტაცია, რომელიც დანართების სახით ახლავს ნაშრომის კონცეფციას, განსხვავებულად იკითხება და სწორედ აქედან გამომდინარეობს რეკომენდაცია, რომ მოვიდეს შესაბამისობაში რეგულაციებთან, რომ როდესაც სტუდენტი გაეცნობა კონცეფციას და შემდგომ განხორციელდება პროცესი, შეფასება ხდებოდეს ერთჯერადად, ნაშრომის დაცვაზე და არ იყოს გაწერილი დროში, რომელიც შეიძლება იყოს 1 კვირა, 1 თვე, როდესაც ეცნობიან თუ როგორ ხდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შეფასება, რეცენზენტის მიერ შეფასება და ა.შ. გაწერილია საფეხურები ვადებში, თუ როგორ მოძრაობს სამაგისტრო ნაშრომი და როგორ ფასდება, ამ პოლიტიკის თანახმად, აქედან გამომდინარე ის ქულები, რომლებიც არის პროგრამის ხელმძღვანელისთვის თუ ა.შ. ნამდვილად ტოვებს იმის შთაბეჭდილებას, რომ სტუდენტის საბოლოო შეფასება დაცვის დროს ერთიანად ვერ მოხდება, რადგან ცალკეული ქულები მან ეტაპობრივად უნდა დააგროვოს და ამ ქულებით უნდა მივიდეს დაცვამდე, ასე იკითხება დოკუმენტიც და შესაბამისად გაიწერა რეკომენდაცია, რომ მოვიდეს შესაბამისობაში რეგულაციასთან.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ, განაცხადა, რომ დაწესებულება შეეცადა ყველაფერი ეტაპობრივად გაეწერა, რადგან არა მხოლოდ სტუდენტებისთვის, არამედ პროგრამის ადმინისტრატორების, კოორდინატორებისთვის მკაფიო იყოს პროცესების თანმიმდევრობა, რაც მნიშვნელოვანი ნაწილია, რათა შეუფერხებლად მიმდინარეობდეს ეს პროცესი. მან უარყო ექსპერტის მოსაზრება, რომ სტუდენტი დაგროვებული ქულებით მიდის სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე, სტუდენტს არ მიეწოდება შეფასებები შუალედურად, იგი არ აგროვებს ქულებს, როგორც ეს სხვა საგნებში ხდება, მას მიეწოდება მაფორმირებელი უკუკავშირი, რომელიც ეყრდნობა მის პროგრესის ანგარიშებს, როდესაც სტუდენტი ამბობს, რომ რაღაც გააკეთა ხელმძღვანელი ეუბნება თუ რამდენად წარმატებულია, რათა გააუმჯობესოს, რაც შეეხება საბოლოო შედეგს, ეს ფასდება ქულით, რომელიც აისახება დაცვაზე, დაცვა არის ერთი კომპონენტი, მანამდე არის წილი ხელმძღვანელის შეფასებისა და რეცენზენტის შეფასების, ასევე ხელმძღვანელი აფასებს არა მხოლოდ ნაშრომს, არამედ პროცესსაც, რამდენად ავტონომიური იყო, რამდენად მისდევდა გეგმას და ითვალისწინებდა უკუკავშირს, რადგან ეს უნარები სხვა შემფასებლების მიერ ვერ შეფასდება და აფასებს ხელმძღვანელი, რომლის შეფასებაც ეყრდნობა სემესტრის განმავლობაში სტუდენტის მიერ ნაჩვენებ შედეგებს.

ექსპერტმა, ირინე ფხაკაძემ, განმარტა, რომ თუ დაკორექტირდება ჩანაწერი, რომლის თანახმადაც ნაშრომის დაცვა 30 ქულაა, სავარაუდოდ, ყველაფერი დალაგდება.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, განაცხადა, რომ მეშვიდე დანართი, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია, სადაც წერია, რომ კომისია აფასებს 30 ქულით, ყველას ერთად შეჯერება და 100 ქულით შეფასება თუ იქნება, სრულიად მოვა შესაბამისობაში აღნიშნული დოკუმენტი.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ 30 ქულა არის იმიტომ, რომ ეს არის მხოლოდ დაცვის კომპონენტის ქულა, ეს არ არის ქულა, რომელშიც მოიაზრება ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასება, საბოლოოდ ჯამდება.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო მირზიკაშვილმა, შრომის ბაზრის კვლევის შესახებ განაცხადა, რომ ახალი პროგრამაა, შესაბამისად მას არ ჰყავს კურსდამთავრებულები, რომ დასაქმებულები გამოეკითხათ. დაწესებულების ამბიცია არის საერთაშორისო ბაზარზე გასვლა, რომ რეგიონალური მასშტაბით მოიზიდონ სტუდენტები, მათ სურთ, მეტი უცხოენოვანი სტუდენტი იყოს მათი კურსდამთავრებული, გავიდნენ საერთაშორისო ბაზარზე, აქედან გამომდინარე აიღეს European Public Health Association-ის ძირითადი დოკუმენტი და იქ არსებულ კომპეტენციებსა და სამიზნე ნიშნულებზე გააკეთეს ძირითადი აქცენტი, რადგან ეს არის ორგანიზაცია, რომელშიც დაწესებულება მომავალში გეგმავს გაწევრიანებას. ბაზრის კვლევაში მონაწილე 3 რესპოდენტის შესახებ განაცხადა, რომ პროგრამის პედაგოგების რესურსი სავსებით საკმარისია და ერთ-ერთი მათგანი წელიწად ნახევრის წინ პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე იყო, 2 - ყოფილი ჯანდაცვის მინისტრი, აქედან გამომდინარე დეფიციტი, თუ რას ფიქრობენ პოლიტიკის შემმუშავებლები არ აქვთ, რისი დეფიციტიც ჰქონდათ იფიქრეს, რომ საინტერესო იქნებოდა აზრი გაეგოთ, ეს არის პროფესიული ასოციაცია, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ფონდი, ამ მხრივ იფიქრეს, რომ საინტერესო იქნებოდა შეევსოთ მათი მოსაზრებები. ჩაატარეს შრომის ბაზრის კიდევ ერთი კვლევა, როდესაც დაასრულეს პროგრამაზე მუშაობა, დაინტერესდნენ რომელი ქვეყნები უფრო ინტერესდებოდნენ საქართველოში არსებული „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ინგლისურენოვანი, სამაგისტრო პროგრამით, აღნიშნული კვლევა ჩატარდა საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურთან ერთად, სადაც აფრიკის და ინდოეთის ქვეყნები ლიდერობენ, დაწესებულებას უცხოელი სტუდენტების მოზიდვის გზა უკვე გავლილი აქვს მედიცინის პროგრამის ფარგლებში.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, განაცხადა, რომ სურდა დაეზუსტებინა ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით, რომელიც დასრულების შემდეგ ფასდება სხვადასხვა კომპონენტით, მაგ., რეცენზენტის შეფასების შემდეგ აღარ განიცდის ცვლილებას. მან მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, დაინტერესდა თუ რატომ არ განიხილება ასეთი შეფასება ერთჯერად შეფასებად, რადგან ერთჯერადი შეფასება არ ნიშნავს, რომ მაინდამაინც ბოლო დღეს უნდა შეფასდეს ყველაფერი, რეცენზენტს, ხელმძღვანელს თუ არ ექნებათ დრო, ბოლო დღეს შეფასებული ვერ იქნება ნორმალურად შეფასებული, მაინ მაინც ადრე უნდა წაიკითხოს, არის თუ არა პრობლემა ის, რომ ნიშანი მაინცდამაინც ბოლო დრეს უნდა გააფორმოს.
და მისი შეფასებით ძალიან კარგი პროგრამაა. მან მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს, რადგან დაწესებულების წარმომადგენლის თქმით პროგრამა ახალია და ამიტომ ვერ მოხდა ბაზრის კვლევა, საბჭოს წევრმა დასძინა, რომ ბაზრის კვლევა არ მოიცავს კურსდამთავრებულთა კვლევას და მათი შედეგების განზოგადებას რაღაც ფორმით. ბაზრის კვლევა გულისხმობს საქართველოში არსებული ანალოგიური სკოლები, მათი რაოდენობის, მათი სტუდენტების რაოდენობას და შემდეგ ავტორიტეტული პირების გამოკითხვას, ამიტომ დეფიციტი მასაც დარჩა ბაზრის კვლევის დოკუმენტიდან.
ექსპერტის, ირინე ფხაკაძის, განცხადებით ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო მოსაზრება იყო, რომ აღნიშნული დოკუმენტის თანახმად სამაგისტრო ნაშრომის შეფასება, როგორც არის აღწერილი არ აღიქმება ერთჯერადი შეფასების ფარგლებში ორგანიზებულად.

საბჭოს წევრის, დიანა მჭედლიშვილის, განმარტებით საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3-ში წერია, რომ ერთჯერადად უნდა მოხდეს დასკვნითი შეფასება, დაინტერესდა მრავალკომპონენტიანი შეფასება ხდება თუ არა დასკვნითი შეფასების პროცესის დროს.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ მათი შეფასებების საფუძველზე ნაშრომი არ იცვლება, არც ხელმძღვანელის შეფასების საფუძველზე ცვლის რამეს სტუდენტი და არც რეცენზენტი, რადგან ის საბოლოო სახით არის ჩაბარებული ფაკულტეტზე, ანუ ერთ ნაშრომს აფასებს სხვადასხვა მხარე.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, განაცხადა, რომ ჩანაწერს მიბმული აქვს დასკვნითი შეფასების ფორმა და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ იგი.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ შეფასებები, რომლებიც განისაზღვრება ხელმძღვანელის, რეცენზენტის, კომისიის მიერ ამ შეფასებების საფუძველზე ნაშრომი არ იცვლება ეს არ არის შუალედური შეფასებები, რომლებიც მიეწოდება მაგისტრანტს შედეგების/ნაშრომის გასაუმჯობესებლად. მათი მაფორმირებელი შეფასებები დამყარებულია მხოლოდ პროგრეს ანგარიშებზე, რაც შეეხება 100 ქულიან შეფასების სისტემას კურიკულუმის დოკუმენტში უბრალოდ უთითებენ იმ წესს, რომლითაც განისაზღვრება შეფასებები, რაც მნიშვნელოვანია გაცვლითი პროგრამების დროს, რადგან დგინდება თავსებადობა და შკალები იყოს ხელმისაწვდომი ყველასთვის, რადგან საერთაშორისო უნივერსიტეტებში სხვადასხვა შკალები გამოიყენება ხოლმე, ასევე მითითებულია, რომ დეტალურად შეფასების სისტემა განსაზღვრულია თითოეულ სილაბუსში და კურიკულუმის დოკუმენტში ამდენ ინფორმაციას არ ასახავენ ხოლმე.
პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი გოცაძემ, განაცხადა, რომ დღეს მიმდინარე პოლიტიკის პირობებში მონაწილეობენ იმ მოცულობით და შესაძლებლობით, რასაც სახელმწიფო სთხოვს და ესაჭიროებათ, თუმცა ეს არ ნიშნავს რომ ითვალისწინებს, სწორედ კორონავირუსი წარმოადგენს ცხადად, თუ რამდენად საჭიროა საქართველოსთვის ექსპერტიზა უფრო კომპლექსური, რაოდენობრივი ანალიზის, რომელიც სცილდება აღწერილობით სტატისტიკას და სცილდება უნივარიაციულ ანალიზს და გადადის რეგრესიულ და რთულ მოდელებში, რომელიც სჭირდება როგორც კორონავირუსს, ასევე საზოგადოებრივ ჯანდაცვას, სწორედ ამიტომ არის, რომ მიღების წინაპირობებში საკმაოდ დიდი როლი დაუთმეს მათემატიკის ცოდნას, შესაბამისად არის მოთხოვნა Gmath-სა და Gmre-ზე და არა მხოლოდ Toefl-ზე, შესაბამისად დიდი ყურადღებაა მიმართული რაოდენობრივ ნაწილზე. შესაძლებელია აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე მივიდეს სტუდენტი, რომელსაც ეკონომიკა აქვს დამთავრებულ ან პოლიტოლოგია, თუკი თავიდანვე განუსაზღვრავენ მოთხოვნას, რომ თუ საზოგადოებრივი ჯანდაცვა არ იციან ისე ვერ მიიღებენ კონკურსში მონაწილეობას, დარჩებიან მხოლოდ აღწერილობითი სტატისტიკის ნაწილზე და უნივარიაციულ ანალიზზე, რომლითაც დღესდღეობით ქვეყნდება ნაშრომების უმეტესობა საქართველოში. მან დაუშვა, რომ მიიღებენ მაგისტრანტს, რომელსაც ეკონომიკური განათლება აქვს და ასევე ჯანდაცვის მენეჯმენტი, სწორედ ამიტომ შეეცადნენ, რომ ეკონომიკის პირველი ნაწილი ყოფილიყო ცნებებთან დაკავშირება, ახსნა არა უბრალოდ რაოდენობრივი ანალიზის აგება და კეთება, არამედ გაეგოთ ცნებები, ურთიერთობა, თუ რა არის ჯანდაცვის ბაზარი, მოთხოვნა-მიწოდების კოდები და ა.შ. სწორედ ამიტომ ჩათვალეს, რომ სამაგისტრო დონეზე ის სირთულე რასაც აწვდიან დასაშვებია, ასევე გაითვალისწინეს უცხოეთის გამოცდილება, სადაც ჯანდაცვის ეკონომიკის კურსს აწობენ იმის მიუხედავად თუ რა ტიპის განათლების მქონე სტუდენტებს იღებენ, მიუხედავად იმისა თუ რა განათლებით მივიდა, ეკონომიკურ ცნებებზე მიიღოს კონკრეტული წარმოდგენა, რომელებიც ნაკლებად მოითხოვს ეკონომეტრიკულ ან ეკონომიკურ ცოდნას, შემდეგ უკვე, როდესაც გადადიან პოლიტიკის ეკონომიკურ ანალიზზე საკითხები რთულდება, რაოდენობრივი ნაწილი დიდი დოზით შემოდის.
შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ შრომის ბაზარი საქართველოსა და პოსტ საბჭოთა სივრცეში, საიდანაც დაწესებულებას სტუდენტების მოწვევის ამბიცია აქვთ,

რაოდენობრივი ჯანდაცვის სკოლებში ძალიან ცუდად არის ასახული და მოთხოვნილი, ამიტომ მათი ვალიდური პოზიცია არის შემდეგი, რომ აკეთებენ აქცენტს პოლიტიკის ანალიზზე, არა მარტო ხარისხობრივი კვლევებით არამედ იმ მოდელით, რომელიც დასჭირდება სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებებისთვის.
სხდომის თავმჯდომარე ჩაეკითხა შეფასებებთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ, თუ რა მისცა დაწესებულებას აღნიშნულ რეკომენდაციაზე დათანხმებამ.
პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი გოცაძემ, PBL-ს შესახებ განაცხადა, რომ თუკი საუბარი არ არის მედიცინის სკოლაზე Problem Based Learning სოციალურ მეცნიერებებში, იმ ცოდნით, რაც გააჩნიათ მნიშვნელოვნად არ განსხვავდება, რადგან შესაძლებელია იგივეს გაკეთება Case Based სწავლებითაც, შესაძლებელია Case ისე ჩამოაყალიბოს ლექტორმა, რომ არა მხოლოდ გამზადებული პასუხი მიცეს და დაუტოვოს ინტერპრეტაცია, არამედ დაუყენოს პრობლემა, მოიტანონ თავიანთი მოსაზრებები პრობლემის გადასაწყვეტად, სადაც დაინახავენ სად აქვთ ცოდნის დეფიციტი და საჭირო დამატებითი ცოდნის მიღების საჭიროება, დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდათ ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრის დროს ამაზე საუბარი და განმარტება, მაგრამ თუკი ეს იქნებოდა მედიცინა, იქ უფრო მკაცრ, წითელ ზოლებშია ჩასმული PBL, მაგრამ, როდესაც საუბარია სოციალურ მეცნიერებებზე, მთავარია თუ როგორ ჩამოაყალიბებენ, თუ რა უნდა ლექტორს, ეს მხოლოდ ინტერპრეტაცია იყოს, თუ საჭიროა სტუდენტებმა დამატებითი ლიტერატურა მოიძიონ, სხვადასხვა გზები ნახონ, ჯგუფურად იმუშაონ თუ ინდივიდუალურად და ა.შ.
საბჭოს წევრი, გაიანე სიმონია, დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელს და დასძინა, რომ მედიცინაშიც მხოლოდ და მხოლოდ ისაა, რომ ტრადიციულად PBL საბაზო ეტაპზე იყო „გეფების“ გამოსავლენად და CBL უფრო ზედა კურსებზე, თუმცა აღნიშნულიც ირღვევა და ასეთი მოთხოვნები აღარც მათთან არ არის.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო მირზიკაშვილმა, განაცხადა, რომ მან საერთაშორისო მიმართულებით ახსენა შრომის ბაზარი, რადგან მათი აქცენტი საერთაშორისო სტუდენტებზეა გამახვილებული, გარდა ამისა ადგილზეც ჩაატარეს კვლევა თუ რამდენი საზოგადოებრივი სკოლაა საქართველოს მასშტაბით სამაგისტრო დონეზე, რა ხდება, როგორ არის, რამდენი სტუდენტი იღებს განათლებას და ა.შ. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთი ინგლისურენოვანი საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა არსებობს, რომელიც საქართველოს უნივერსიტეტში, თსუ-ში არსებობს ტრონსოს უნივერსიტეტთან ერთად და ძლიან კარგი პროგრამაა, დაწესებულებას ეს მონაცემებიც ჰქონდა, მაგრამ, რადგან საერთაშორისო სტუდენტების მოწვევა სურდათ გააკეთეს ზემოაღნიშნული ანალიზიც.
საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ, განაცხადა, რომ გასაგებია დაწესებულების პასუხი, რადგან, როგორც წესი სხვადასხვა ინსტიტუციებს ცალ-ცალკე შემოაქვთ დადარების დოკუმენტი, რომელიც უცხოეთისა და საქართველოს გამოცდილებას სწავლობს და ბაზრის კვლევა ცალკე კეთდება, ამასთანავე თუ დაწესებულებას ნამუშევარი აქვს, უბრალოდ საბჭომდე არ მისულა და სწორედ ეს დანაკლისი იყო.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ ლობჯანიძემ, PBL-თან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ცალსახად მიუთითა, როდესაც წერია PBL მას თავისი ორგანიზაციის ფორმა აქვს, თუ როგორ განახორციელოს, როგორ გააკეთოს, როგორ შეაფასოს და ეს აბსოლუტურად იყო Case Based Learning, როდესაც ექსპერტი შედის ინსტიტუციაში და უნდა შეაფასოს მეთოდები, ამბობენ, რომ არის PBL, რეალურად კი არის ქეისზე დაფუძნებული, თუმცა არც ეს არის პრობლემა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 16:09**
**დასრულების დრო: 16:38**

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება. 2.2 და 2.6 კომპონენტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტების ცვლილებამ არ გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

**აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:**
**რეკომენდაციები:**
ა) რეკომენდებულია პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გადახედვა და რეფორმულირება მათი გაზომვადობის გასაუმჯობესებლად;
ბ) რეკომედირებულია სასწავლო/კვლევით ბაზებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სათანადო ფორმით იყოს წარმოდგენილი სავარაუდო ინფორმაცია კონკრეტულ პერიოდზე კვლევითი თუ პრაქტიკული კურსების/მიზნების და სტუდენტების/მკვლევარების რაოდენობის შესახებ;
გ) რეკომენდირებულია სილაბუსებში გამოყენებული პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის PBL დაზუსტება და გამიჯვნა ქეისებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდისგან. ამასთანავე, სილაბუსებში გამოყენებული სწავლის მეთოდები, სრულად აისახოს პროგრამის აღწერილობით ნაწილში;

**რჩევები:**
ა) დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვა სექტორებისა და დამსაქმებლების ჩართვა/გაფართოება რათა მოხდეს კონკრეტული ცოდნისა და უნარების საჭიროებების შეფასება მუდმივად ცვალებად გარემოში როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე;
ბ) სასურველია გაფართოებულ იქნეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების არე ჯანდაცვითი მიმართულების კვალიფიკაციების მქონე კურსდამთავრებულებისათვის;
გ) სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში განსაზღვრულ იქნეს შიდა საუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის ძირითადი დარგობრივი მიმართულებები საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპეტენციის სფეროებიდან გამომდინარე;
დ) სასურველია გათვალისწინებულ იქნეს საერთაშორისო გამოცდილება და არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის აპლიკანტებისთვის მოთხოვნილი იქნეს კონკრეტულად საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით ცოდნის დადასტურება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმებით, განსაზღვრული მოცულობით (კრედიტები) დასრულებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შინაარსის კურსები, ასევე დარგობრივი უნარების დადასტურება სამუშაო გამოცდილების, ან კვლევითი საქმიანობის ან სხვა;

ე) სასურველია თვალსაჩინოდ იყოს წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები (3 კომპეტენციის (ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა)) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობასთან მიმართებაში;
ვ) სასურველია კურუკულუმის გარეთ გათვალისწინებული იქნას ეკონომიკის ერთერთი საბაზო კურსი;
ზ) სასურველია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების დოკუმენტაციის დაკორექტირება იმგვარად, რომ ცალსახად ითვალისწინებდეს აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასებას ერთჯერადად - დასკვნითი შეფასებით;
თ) სასურველია ორ კომპონენტიანი დასკვნითი გამოცდის დროს მიეთითოს თითოეული კომპონენტის გადალახვის მინიმალური ბარიერი, შეფასებებში მოხდეს მაქსიმალური ქულების დიფერენციაცია სათანადო კრიტერიუმების მიხედვით;
ი) სასურველია პროგრამაში გაიწეროს სტუდენტის ცოდნის შეფასების ზოგადი მოთხოვნები;
კ) სასურველია ცხადად წარმოდგეს/დაზუსტდეს შეფასების მრავალშეფასებიან რუბრიკებში კრიტერიუმები, რათა ნათელი გახდეს მაგისტრისთვის ქულების დაგროვების მექანიზმი;
ლ)აკად. პერსონალის მიზნობრივი გადამზადება უმაღლესი განათლების მეთოდოლოგიაში;
მ)დამატებითი შემოსავლების წყაროების გათვალისწინება პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯის ნაწილში;
ნ) სასურველია უმაღლეს სასწავლებელმა წარმოადგინოს სტანდარტთან შედარების მასალები (ე.წ. ბენჩმარკის ანალიზის შედეგები), რათა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების შემდგომ ეტაპზე, პროგრამის განმახორციელებლებისთვის ცნობილი გახდეს მისი თანხვედრა და აქტუალობა დარგის თანამედროვე სტანდარტებთან.

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-$3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის პოლიტიკის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**2. მეორე საკითხი:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი გენეტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| № | **ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | გამოყენებითი გენეტიკა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | გადაწყვეტილება №297, 02.08.2012 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მეშვიდე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | მეცნიერებათა მაგისტრი გამოყენებით გენეტიკაში |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0511 ბიოლოგია |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 ECTS |
| 14 | განხორციელების ადგილი | გ. წერეთლის №3, 0162 თბილისი, საქართველო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის G კორპუსი |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- დიახ

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა - ელენე ჟურავლოვამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**
სხდომის თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, ხუთივე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნათია ღაჭავა, მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გენეტიკა“ სააკრედიტაციო შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მიმდინარე წლის 2 სექტემბერს, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება განხორციელდა 3 სექტემბერს დაწესებულებაში ვიზიტით. ვიზიტამდე დისტანციურად ჩაატარა მოსამზადებელი შეხვედრა და ჯგუფის წევრებმა ერთმანეთში გაცვალეს დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი მასალების გაცნობის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებები, ჩამოაყალიბეს საკითხები და სავარაუდო კითხვების ჩამონათვალი/საინტერესო საკითხები, რომლებიც გარკვეული იქნებოდა ვიზიტის დღეს სხვადასხვა ჯგუფებთან გასაუბრებისას, ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ და მოხდა ფუნქციების გადანაწილება ჯგუფის წევრებს შორის. 2 სექტემბერს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა დღის წესრიგის დაცვით ექსპერტთა სრული შემადგენლობით და დისტანციურ რეჟიმში (Zoom-ის გამოყენებით). სააკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა ყოველგვარი ხარვეზების გარეშე, ჩატარდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა და დაწესებულების მხრიდან უზრუნველყოფილი იყო პროცესში მონაწილე ყველა პირის ჩართულობა, რათა ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონოდა მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. 3 სექტემბერს დაწესებულებაში ერთ-ერთი ექსპერტის ვიზიტით შეფასდა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და შემოწმდა ყველა დეტალი. ორ დღიანი მუშაობის შედეგი კი ასახეს დასკვნაში.

მისი თქმით პროგრამას აქვს ბევრი დადებითი მხარე, რომელიც შეფასებაშიც ჩანს, რეკომენდაცია გაცემული არ არის და ყველაზე მთავარი, როდესაც გუნდი ამზადებს პროგრამას, მთავარი მიზანია მოამზადოს კადრი, რომელსაც ექნება კვლევითი უნარ-ჩვევები და კადრი, რომელიც შეძლებს სპეციალისტების, თავისი კვალიფიკაციით, გამოყენებითი გენეტიკით თავისი საქმიანობის განხორციელებას, ეს ნამდვილად მიიღწევა პროგრამით, რაც დადასტურდა ვიზიტის დროს სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებისას.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

ფაკულტეტის დეკანმა, დავით თარხნიშვილმა, განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა რამდენიმე წელია ხორციელდება, დნმ ანალიზს უნივერსიტეტში ახორციელებენ 2008 წლიდან, ამ დროს შეიქმნა დნმ ლაბორატორია, რომელიც არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და ასოცირებულია ეკოლოგიის ინსტიტუტთან, აკეთებენ დნმ-ის შესწავლის ყველა სტადიას, მისი გამოყოფიდან დაწყებული, ე.წ. PCR-ით, გენოტიპირებითა და სექვენირებით, დნმ-ის ჯაჭვების წაკითხვით, რასაც აქვს გამოყენება სხვადასხვა მიმართულებით, რომელიც შეიძლებოდა ეხებოდეს ბიოლოგიასა და მის სხვა საკითხებს. ასევე აქვს მნიშვნელოვანი გამოყენებითი როლი, შეიძლება გამოყენებულ იქნას დიაგნოსტიკასა და სამედიცინო საკითხებში, ეს არის ეპიდემიოლოგიური ანალიზი, რომელიც ეხება პათოგენურ ორგანიზმს, ლაბორატორიაში შეუძლებელია ზოგიერთი პათოგენური ორგანიზმის შესწავლა, მაგრამ ამისთვისაც ხდება იგივე მეთოდების გამოყენება, მემკვიდრეობითი დაავადების განსაზღვრისას „ფორენსიკ“ მიმართულებით, იდენტურობის დადგენისას დანაშაულის ჩადენის შედეგად და ძალიან ახლოს მის სპეციალობასთან არის გამოყენება ბიოლოგიასა და ეკოლოგიაში, შეიძლება ამის

მეშვეობით პოპულაციის ანალიზი, რიცხოვნობის შეფასება, მიგრაციის შეფასება და სხვა, რაც მთავარია მეთოდების კომპლექსი, რომელსაც გამოიყენებენ არის უნივერსალური ამ მიმართულებით. თვითონ პროგრამა მუშაობს 2013 წლიდან, პროგრამის ალუმნები არიან ძალიან კარგად დასაქმებულნი, მუშაობენ სახელმწიფო უწყებებში, ზოგიერთი აკადემიურ სფეროში აგრძელებს მუშაობას, ზოგიერთი დიაგნოსტიკურ ლაბორატორიებში, ზოგიერთი მათგანი უცხოეთშია, შესაბამისად პროგრამა საკმაოდ წარმატებულია.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევაში ისევ წარმოდგენილია 2 რესპოდენტისგან შემდგარი ფოკუს ჯგუფი, შესაბამისად სთხოვა დაწესებულებას დეტალურად ესაუბრათ აღნიშნულ საკითხზე. ბიუჯეტში კი არის ჩანაწერი, რომ დაწესებულებას შევსება აქვს 4 საგრანტო პროექტიდან, შესაბამისად დაისვა კითხვა საგრანტო პროექტების ხანგრძლივობის შესახებ, რამდენად მდგრადია ბიუჯეტი, როდესაც ის ივსება საგრანტო პროექტებიდან. მისი თქმით რა ნაშრომებსაც გაეცნო, დაინტერესდა იყო თუ არა ყველა მათგანი ქართულ სექტორზე შესრულებული, რადგან არის ნაშრომი ინგლისურადაც. ფაკულტეტის დეკანმა, დავით თარხნიშვილმა დაადასტურა, რომ არის ინგლისურენოვანი ნაშრომიც, რადგან კორტ ანდერსონი იყო ნაშრომის ხელმძღვანელი და დარგობრივმა საბჭომ დაუშვა სტუდენტის მიერ ნაშრომის ინგლისურად შესრულების შესაძლებლობა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, დააზუსტა სწავლობდა თუ არა აღნიშნული სტუდენტი ქართულ ენაზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა მის მიერ ნათქვამი.

სხდომის თავმჯდომარე დაშვების წინაპირობაში ინგლისურის დონის მითითების შესახებ დაინტერესდა, არის თუ არა დამაკმაყოფილებელი როგროც არის მითითებული. კურიკულუმის რუკაში სასწავლო კურსების სტატუსის განსაზღვრის შესახებ იკითხა, თუ რატომ აქვს რჩევის ხასიათი.

ფაკულტეტის დეკანმა, ბიუჯეტთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ მეტად მნიშვნელოვანი საკითხია და ბიუჯეტში ნაჩვენებია დეფიციტიც, რომელიც აღმოფხვრილია ინგლისურენოვან პროგრამაზე სტაბილური შემოსავლით, უცხოელი სტუდენტები, რომლებიც იხდიან განსხვავებულ გადასახადს. რაც შეეხება საპროექტო ბიუჯეტს, მიმდინარე პროგრამის ბიუჯეტი არის მნიშვნელოვანი ორი მხრივ: ახალი პროგრამა ნიშნავს განახლებულ ინსტრუმენტებს, ინსტრუმენტები რომლებიც შეძენილი იყო დღესაც მუშაობენ, მაგრამ დღეს ჭარბობს გენეტიკა, ამასთან დაკავშირებით დაწესებულებას მიეცა საშუალება პროექტებით შეეძინა მეორე თაობის სექვენირების აღჭურვილობა და მწყობრში მოჰყავთ ახალი აღჭურვილობა, გარდა ამისა ერთი პროექტი რომლის ღირებულება არის 2 მილიონი ევრო, საიდანაც დიდი ნაწილი მოდის ქართულ მხარეზე, ეს არის ქართულ-სომხურ-გერმანული პროექტი, რომელიც არის 3 წლიანი, გაგრძელების საშუალებით, ასევე მიმდინარეობს Foundraising-ი, რაც ყოველდღიური რუტინა გახდა მკვლევარებისთვის. ასე რომ ყველაზე ძვირი არის ქიმიკატები, რაზეც დეფიციტი ჯერ არ ჰქონიათ.

შრომის ბაზრის შესახებ პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა საბჭოს წევრს ფოკუს ჯგუფების შესახებ, მაგრამ ეს განსაკუთრებით არის, ისეთი მომენტი რომ დნმ-ის გამოყოფა, სექვენირება და გენოტიპირება - მეთოდები სტანდარტულია სხვადასხვა მიმართულებებისთვის, შესაბამისად არსებობს რამდენიმე მიმართულება, ერთ-ერთი მათგანი გამოჩნდა COVID-19 პანდემიის დაწყებიდან დღემდე და PCR ეს არის დიაგნოსტიკის ყველაზე ფართოდ გავრცელებული და საუკეთესო გზა, რასაც ყველაზე ფართოდ შეისწავლიან სტუდენტები პროგრამის ფარგლებში, არა მხოლოდ ტექნიკური უნარები, რომ სტუდენტმა აიღოს პიპეტი და შეასრულოს ანალიზი, არამედ მან იცის რა დგას ამ PGR-ის უკან, მას შეუძლია ოპტიმიზაცია და ეს არის ფასეული ადამიანი, რომელიც დიაგნოსტირების ლაბორატორიებში შეიძლება იყოს დასაქმებული, მაგალითად მოყვანილი იყო კორონავირუსი, მაგრამ ეს ეხება ნებისმიერ ვირუსულ დაავადებას რომლის დიაგნოსტირება ხდება PCR-ის მეშვეობით.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ, დასძინა, რომ დოკუმენტებში გარდა ფოკუს ჯგუფისა არის შრომის ბაზრის აღწერა და იქ ჩამოთვლილია სხვადასხვა ორგანიზაცია, ლაბორატორია, რომლებიც მუშაობენ გამოყენებითი გენეტიკური მიმართულებით, და გამოიყენებენ იმ კვლევებს რასაც აწარმოებს აღნიშნული პროგრამა, რაც შეეხება თუ ვინ შეისწავლეს ფოკუს-ჯგუფისთვის, ეს იყო რამდენიმე წარმომადგენელი.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ეს არის 2019 წლიდან შშს-ის დიაგნოსტიკის და კვების ლაბორატორია.
პროგრამის ხელმძღვანელმა, კორტ ანდერსონმა, განაცხადა, რომ საქართველოში არის ძალიან კარგი წარმომადგენლობა იმ ორგანიზაციების, რომლების გამოიყენებენ დნმ-ის კვლევის მეთოდებს და ფოკუს ჯგუფი იყო წარმომადგენლობითი, მიუხედავად იმისა, რომ იყო 3 ორგანიზაცია, ისინი წარმოადგენდნენ 3 განსხვავებულ და ძირითად სექტორს, რომლებიცა არის კვლევითი ინსტიტუტი, კომერციული სამეცნიერო ლაბორატორია და ბაქტერიოფაგი. ხოლო რაც შეეხება სოფლის მეურნეობას ნაკლებად განვითარებულია ამ კუთხით მოთხოვნა საქართველოს ბაზარზე, თუცა შესაძლებელი იყო მისი ჩართვაც. როგორც მოლეკულური ლაბორატორიის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული უკუკავშირიდან ჩანს, სტუდენტები, რომლებიც გაივლიან პროგრამას აღნიშნული კურიკულუმით შეეძლებათ მსოფლიო დონეზე შეასრულონ აპლიკაციები და მათთვის საერთაშორისო შრომის ბაზარიც არის გახსნილი.
საბჭოს წევრი, ნინო ინასარიძე, დაინტერესდა თუ როდის იწყებენ სტუდენტები სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას, მისი ვარაუდით ბოლო სემესტრში, მაგრამ პასუხი იქნება რომ თავიდანვე უწევთ ამაზე ფიქრი, ასევე დაინტერესდა თუ აქვთ საერთო კვლევები პოტენციურ დამსაქმებლებთან და როგორ არის ეს პრაქტიკა ინტეგრირებული სასწავლო პროცესში.
ფაკულტეტის დეკანმა, დავით თარხნიშვილმა, განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო სემესტრი ეხება სამაგისტრო კვლევას ეს არ არის საკმარისი, ამიტომ რა თქმა უნდა სტუდენტი თემის შერჩევას იწყებს უფრო ადრე სამაგისტრო სემინარში, ანუ მეორე სემესტრში, დაწესებულებას აქვს ურთიერთობა NCDC-სთან, ბაქტერიოფაგთან, და სტუდენტებს აძლევენ საშუალებას ვისაც აინტერესებს მათი თანახელმძღვანელობით გაიარონ პრაქტიკა, რაც შეეხება ბიომრავალფეროვნებას, უნივერსიტეტშივე აკეთებენ, რადგან მათ აქვთ ამის პროექტები, აგრარულთან დაკავშირებით არის პოტენციურად მნიშვნელოვანი.
საბჭოს წევრმა, ნინო ინასარიძემ, დააზუსტა, რომ სტუდენტი თავის აქტივობის ნაწილს ახორციელებს თუ არა დამსაქმებელთან.
პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა საბჭოს წევრის მოსაზრება, რომ სტუდენტები ერთვებიან მიმდინარე პროექტებში, შესაძლებელია სტუდენტმა განაცხადოს რომ სურს რაღაცის გაკეთება, განაცხადოს რუსთაველის ფონდში და ვერ მიიღოს დაფინანსება, ამიტომ დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს დააკავშიროს სტუდენტი პოტენციურ დამსაქმებელთან.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნათია ღაჭავამ, კურიკულუმის რუკასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას პირველ დანართში წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის რუკა, სადაც ფოკუსები შედეგებთან მიმართებით დახარისხებულია იმის მიხედვით თუ სად გადის სრულად და რომელი ნაწილობრივ, აკრედიტაციის სახელმძღვანელოს მიხედვით უმჯობესია კურსებს ჰქონდეს სახელწოდება რომელია გაცნობით, გაღრმავებისა და გამტკიცების ხასიათის და კარგი იქნება თუ რუკა ამ თვალსაზრისით გადაიხედება, თუმცა ამით პროგრამის შედეგზე გასვლის პრობლემა არ გდება, ამიტომ დატოვეს რჩევად. რაც შეეხება უცხო ენის დონეს, წინა პირობებში აღწერილია თუ როგორ ტარდება გამოცდა, რომლითაც ირჩევა მომავალი მაგისტრანტი, ეს არის ზეპირი პროცესი, ხდება გასაუბრება აპლიკანტებთან, პროცესში კი თავად კორტ ანდერსონია ჩართული, რომელიც ამოწმებს უცხო ენის ცოდნის დონეს, დარგობრივი კითხვების საშუალებით, ასევე თვითონ არის განმახორციელებელი რამდენიმე ინგლისურენოვანი სასწავლო კურსის და კარგად იცის რა დონეზე უნდა ფლობდეს სტუდენტი

უცხო ენას, რომ შეეძლოს ამ სასწავლო კურსების გავლა, თუმცა სასურველია აპლიკანტმა იცოდეს თუ რა დონის იქნება ტექსტი, ამასთანავე პროგრამის შედეგზე გასვლის საფრთხეს არ ქმნის, ამიტომ დატოვეს რჩევაში.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, დააზუსტა ხომ არ აჯობებს განსაზღვრული იყოს ინგლისური ენის ცოდნის დონე, რადგან მან ვერ ნახა ჩანაწერში სადაც ენის ცოდნის დონეა განსაზღვრული. მისთვის გასაგებია, რომ B2 დონეზე ნაკლები არ იქნება მოთხოვნილი, რადგან არის ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები. ასევე დაინტერესდა სილაბუსების შესახებ, რომლებიც ინგლისურ ენაზეა და მათი შესაბამისი ქართულ ენაზე არ არის, მაგრამ მან ვერ ნახა სხვა საგნების სილაბუსები, რომლებიც ინგლისურ ენაზე ისწავლება, რომელთა შესახებაც დაინტერესდა არსებობს თუ არა. შეფასების სისტემის შესახებ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა მეტი ინფორმაციის მიწოდება, რათა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის უფრო მკაფიო იყოს და სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, უმჯობესი იქნებოდა უკეთ რეფორმულირება.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ, სწავლის შედეგების რეფორმულირებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისთვის გასაგებია რომ სწავლის შედეგების გადახედვა პერიოდული საკითხია, მაგრამ მათი უკუკავშირის მიხედვით ეს არის კარგად ფორმულირებული, გამოხატავს ყველა საჭირო კომპეტენციას, რაც არის ასახული. რაც შეეხება ინგლისურენოვან სილაბუსებს, პროგრამაში მოცემულია მხოლოდ ის სილაბუსები, რომლებიც შეთავაზებულია ქართულენოვანი პროგრამის ფარგლებში, ინგლისურენოვანი პროგრამის ფარგლებში ინგლისურენოვანი სხვა კურსები აღნიშნულ პროგრამაში გათვალისწინებული არ არის.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, დააზუსტა, რომ მან თითქოს კურიკულუმში ჩანაწერი - ინგლისურენოვანი სხვა კურსებზეც ნახა.
ფაკულტეტის დეკანმა, დავით თარხნიშვილმა განაცხადა, რომ იქ არის ერთი არჩევითი კურსი, რომელიც ეხება წერით უნარებს, სთავაზობენ აკადემიური უნარების კურსს, მაგრამ მათ აქვთ საშუალება, რომ აირჩიონ აკადემიური კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე, ეს არის არჩევითი დისციპლინა. რაც შეეხება ინგლისური ენის ცოდნას გათვალისწინებულია B1-ის დონეზე და კურიკულუმშიც არის აღნიშნული, ნებისმიერი საბუნებისმეტყველო სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა ინგლისური უნდა იცოდეს, რადგან სახელმძღვანელოები და ა.შ. იქნება საერთაშორისო ენაზე, რადგან ქართული ენა ვერ ფარავს მთლიან სპექტრს ამ მიმართულებით.
პროგრამის ხელმძღვანელმა, კორტ ანდერსონმა, განაცხადა, რომ აქამდე, 6 წლის განმავლობაში არ ყოფილა აღნიშნული პრობლემა.
ასოცირებული პროფესორმა, მარინე მურცხვალაძემ, დასძინა, რომ გარდა ამისა სთავაზობენ ინგლისური ენის კურსს ბიოლოგებისთვის, თუ აქვთ პრობლემა, აქვთ ბიოლოგიის ცოდნა, მაგრამ არ აქვთ ინგლისური ენის დონე.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 17:19**
**დასრულების დრო: 17:30**

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება. 2.1

კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი გენეტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

**აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:**
**რეკომენდაციები:**
ა) რეკომენდებულია პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გადახედვა და რეფორმულირება მათი გაზომვადობის გასაუმჯობესებლად;
ბ) პროგრამაზე მიღების წინაპირობებში დაზუსტდეს ინგლისური ენის ცოდნის დადასტურების აუცილებლობა, რაც რელევანტური იქნება სამაგისტრო საფეხურთან. აღნიშნული რეკომენდაცია განპირობებულია პროგრამაში შეთავაზებული ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების შეთავაზებით;

**რჩევები:**
ა) სასურველია კურიკულუმის რუკაში განისაზღვროს სასწავლო კურსების სტატუსი (I - გაცნობა, P - გაღრმავება, M - განმტკიცება) შედეგთან მიმართებაში;
გ) სასურველია პროგრამაში გაიწეროს სტუდენტის ცოდნის შეფასების ზოგადი მოთხოვნები;

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-$3^1$ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი გენეტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.
საბჭომ დააკმაყოფილა დაწესებულების წარმომადგენლის შუამდგომლობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, შესაბამისად გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2021 წლის 15 ოქტომბრიდან.

**3. მესამე საკითხი:** შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „სამკურნალო საქმის“ ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან დამტკიცების შესახებ“ შესაბამისობაში მოყვანის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

| № | ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | სამკურნალო საქმე |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტირებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | გადაწყვეტილება №599367, 14.07.2020 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ერთსაფეხურიანი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | - |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0912 მედიცინა |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 360 ECTS |
| 14 | განხორციელების ადგილი | ქ. წამებული 51/2, თბილისი, 0104, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა**
სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შემოწმებულ იქნა პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები, აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, შეფასდა შემდეგნაირად: პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი კი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირინე ფხაკაძე, მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს, მისი განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „სამკურნალო საქმის" ქართულენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგი დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე, აღნიშნული პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტების შესწავლით და შედეგად მომზადდა დასკვნა. მისი თქმით პროგრამა ეფუძნება ინტეგრირებულ კურიკულუმს, შედგენილია თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად და ორიენტირებულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზე, რეკომენდაციები, რომლებიც მომზადდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ორიენტირებულია პროგრამის გაუმჯობესებაზე.

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**
**1.2. კომპონენტი:**
პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მუხლი 1 თანახმად, შემდეგი სახით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგები გაწერილია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და ფარავს კანონის ჩარჩოს, გათვალისწინებულია ექიმის 6 როლი, როგორც კომუნიკატორი, კოლაბორატორი, მენეჯერი, ჯანმრთელობის ადვოკატი, სწავლული და პორფესორი, თუმცა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების შინაარსიდან გამომდინარე, იფარება სწავლის შედეგების თვალსაზრისით არსებული ყველა მოთხოვნა, მაგრამ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ მუხლი 1-დან გამომდინარე, რომ კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელი ელემენტი აერთიანებდეს ამ სამ სწავლის შედეგს, აქედან გამომდინარეობს რეკომენდაცია, რომ მხოლოდ წარდგენის ფორმატია შესაცვლელი;

**2.1. კომპონენტი:**
დაზუსტდეს და გახდეს გამჭვირვალე პროგრამაზე მიღების წინაპირობა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიაში ჩარიცხული აპლიკანტებისათვის მათგან დამატებით მოთხოვნილი პრაქტიკული უნარების, მეტყველების, მხედველობისა და სმენის უნარების შეფასების მექანიზმების დაკონკრეტების სახით - მისი განცხადებით, პროგრამაში წერია, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიაში ჩარიცხული აპლიკანტებისათვის მათგან დამატებით მოთხოვნილი პრაქტიკული უნარების, მეტყველების, მხედველობისა და სმენის უნარების შეფასების მექანიზმების დაკონკრეტების სახით, რაზეც დაწესებულებას

არგუმენტირებულ პოზიციასი არ აქვს გაცემული პასუხი, შესაბამისად ექპერტთა ჯგუფმა ძალაში დატოვა აღნიშნული რეკომენდაცია, ვინაიდან აპლიკანტი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვებს აკადემიის პროგრამაზე სწავლის უფლებას, ჩნდება კითხვა, უტარდება თუ არა მას დამატებით გამოცდა, მაგ., მხედველობის/სმენის უნარების შესაფასებლად ან როგორ ხდება აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება.

**2.3. კომპონენტი:**

დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში გაცემული იყო პასუხი რეკომენდაციაზე, რომელიც არ იყო ჩამოყალიბებული რეკომენდაციად „რეკომენდირებულია, პროგრამაში გათვალისწინებული რიგი სასწავლო კურსების მოცულობა არ იყოს განსაზღვრული კრედიტებით, ამასთანავე დაზუსტდეს 1 და 1.5 კრედიტის მქონე კურსების მოცულობა“ - თუმცა ეს ნამდვილად არ ყოფილა რეკომენდაცია, არც დასკვნის პროექტში და შემდეგში არც დასკვნაში, შესაბამისად ვერ იმოქმედებდა შეფასებაზე, რეალურად დასკვნის პროექტშიც და დასკვნაშიც იყო მხოლოდ შემდეგი რეკომენდაციები:

• მოხდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება ახლანდელ დროში;

• დაკორექტირდეს სწავლის შედეგებში კომპეტენციების განსაზღვრებები „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად;

• მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსებს განესაზღვროს კონკრეტული მიზნები კურსის შინაარსთან შესაბამისობაში; ამავე კურსებში დაზუსტდეს „ცოდნის“ კომპეტენცია მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსებში შინაარსის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი ფორმულირება - დაწესებულების პასუხის თანახმად აღნიშნული ხარვეზი აღმოიფხვრება და არის რაოდენობრივი მონაცემები, რომ ეს ეხება სილაბუსების 5%-ს, რაც გულისხმობს, რომ დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციას;

• რეკომენდირებულია 2015 წლამდე გამოცემული ლიტერატურის განახლება - რაც ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ნამდვილად არის პრობლემა და ყველა თანხმდება, რომ სამედიცინო განათლების მიმართულებით თანამედროვე სახელმძღვანელოები ვერ უძლებენ კრიტიკას, თუმცა უნივერსიტეტში ხელმისაწვდომია უახლესი ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში, ელექტრონულშიც კი;

**2.6. კომპონენტი:**

• მკაფიოდ გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები კურსის შინაარსის მიხედვით, სხვადასხვა კომპონენტში ქულების დაგროვების მექანიზმი გახდეს გამჭვირვალე სტუდენტისთვის მათთან უკუკავშირის მიზნით - განსაკუთრებით დამამთავრებელ წელს გაცილებით მეტად იყოს გამოყენებული შეფასების თანამედროვე მეთოდები, რომელსაც ნამდვილად იყენებს პროგრამა განხორციელების პროცესში, თუმცა როდესაც სწავლების მეექვსე წელს მოხდა ანალიზი დასკვნითი გამოცდების ჩატარება ძირითადად ხდება კომბინირებული წესით, ზეპირი და წერითი გამოცდის სახით;

• რეკომენდირებულია კლინიკურ კურსებში, განსაკუთრებით დამამთავრებელ წელს შემაჯამებელი შეფასების მიზნით დასკვნითი გამოცდების ჩატარება არა მხოლოდ ტესტირებითა და ზეპირი გამოცდით, არამედ ცოდნისა და კლინიკური უნარების შეფასებისათვის შესაბამისი თანამედროვე მეთოდოლოგიით;

• დაზუსტდეს რიგ კურსებში დასკვნით გამოცდაზე გასვლის დამატებითი წინაპირობა პორტფოლიოს დავალებების (ფასდება Pass/Fail) დამაკმაყოფილებლად შესრულებასთან დაკავშირებით - როდესაც სასწავლო კურსებს განსაზღვრული აქვს მინიმალური ბარიერები

როგორ მოხდება სტუდენტის დაშვება დასკვნით გამოცდაზე და პარალელურად არის ჩანაწერი, რომ პორტფოლიოს დავალებები უნდა ჰქონდეს შესრულებული, სწორედ ამის დაზუსტებას ითხოვდა ექსპერტთა ჯგუფი, თუ როგორ მოხდებოდა ამის განხორციელება.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

რექტორი, ირინე შოთაძე, მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს, აღნიშნა, რომ მათთვის ძალიან საყურადღებო და მისასალმებელია გარე შეფასების პროცესი, რადგან ეს რეალური შესაძლებლობაა, რათა კრიტიკულად შეაფასონ და გაიაზრონ ინსტიტუციური პროცესები.

მან განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ექსპერტთა ჯგუფმა გასცა 8 რეკომენდაცია და 4 რჩევა, მათ შორის ორი რეკომენდაცია თავდაპირველად იყო რჩევის სახით და საბოლოო ვერსიაში აღმოჩნდა რეკომენდაციის სახით, 8 რეკომენდაციიდან უკვე გათვალისწინებული/შესრულებულია 3 ურთიერთდაკავშირებული რეკომენდაცია: პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მუხლი 1 თანახმად, შემდეგი სახით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - რეალურად მოხდა პროგრამისა და სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ფორმულირება;

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც დასკვნის წარმოდგენის პროცესში იყო, დასკვნის შემდეგ გამოსწორებული ხარვეზებს/რეკომენდაციებს საბჭო მხედველობაში არ იღებს.

რექტორის, ირინე შოთაძის, მოსაზრებით შესაძლებელია გადაწყვეტილებაზე იმოქმედოს იმ მომენტმა, რომ პირველად დასკვნაში ერთ-ერთი რეკომენდაცია, მაგ., პროგრამაზე მიღების წინაპირობების შესახებ იყო რჩევა, როგორც ცნობილია რჩევაზე პასუხის გაცემის ვალდებულება დაწესებულებას არ აქვს და შესაბამისად არ იყო პასუხი გაცემული, საბოლოო დასკვნაში კი აღმოჩნდა რეკომენდაციის სახით. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ უკვე გაითვალისწინა 3 რეკომენდაცია. დაწესებულება ასევე მზად არის განიხილოს სხვა რეკომენდაციებიც თუკი მოხდება დაზუსტება ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან, კომპონენტი 2.6-ის სამი რეკომენდაცია:

- მკაფიოდ გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები კურსის შინაარსის მიხედვით, სხვადასხვა კომპონენტში ქულების დაგროვების მექანიზმი გახდეს გამჭვირვალე სტუდენტისთვის მათთან უკუკავშირის მიზნით, რაც დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით აკადემიაში სათანადოდ არის მართული, თუმცა აქვთ მზაობა მსჯელობისათვის;
- რეკომენდირებულია კლინიკურ კურსებში, განსაკუთრებით დამამთავრებელ წელს შემაჯამებელი შეფასების მიზნით დასკვნითი გამოცდების ჩატარება არა მხოლოდ ტესტირებითა და ზეპირი გამოცდით, არამედ ცოდნისა და კლინიკური უნარების შეფასებისათვის შესაბამისი თანამედროვე მეთოდოლოგიით;
- დაზუსტდეს რიგ კურსებში დასკვნით გამოცდაზე გასვლის დამატებითი წინაპირობა პორტფოლიოს დავალებების (ფასდება Pass/Fail) დამაკმაყოფილებლად შესრულებასთან დაკავშირებით;

რექტორის თქმით აქვთ OSCE-ც, რომლის კრიტერიუმებიც სათანადოდ აქვთ გათვალისწინებული და კრიტერიუმები წინააღმდეგობაში არ მოდის დარგობრივ მახასიათებელთან.

სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას არგუმენტები აღნიშნულ რეკომენდაციებთან მიმართებით, მან დასძინა, რომ არსებობის შემთხვევაში სწორედ ეს არგუმენტები აინტერესებდა საბჭოს.

რექტორმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას ჰქონდა არგუმენტირებული პოზიცია აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, მაგრამ პორტფოლიო რომელიც უნდა დაიწეროს კურსის დასრულებისას, ლექტორები კურსის დასაწყისშივე დეტალურად აცნობენ შეფასების სისტემას, ქულების დაგროვებას და ა.შ. აკადემიაში არის სტანდარტიზებული სასწავლო კურსები,

შეფასების ფორმატები, რომლებიც ასახულია სილაბუსებში. შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით მათი შეფასების სისტემა სრულიად გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.
პროგრამის თანახელმძღვანელი, მაია ზარნაძე, მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ აკადემიას შემუშავებული აქვს პორტფოლიოს სტრუქტურა, სადაც აღნიშნულია პორტფოლიოს შეფასებაც და პორტფოლიოს დავალების შეფასება ხდება რუბრიკების საშუალებით, სადაც გაწერილია კრიტერიუმები და სტუდენტს პორტფოლიოს მენტორისგან ეძლევა დეტალური ინფორმაცია ამ რუბრიკების შესახებ, წინასწარ ეცნობიან და თვითონ დავალების შემდეგაც პორტფოლიოს მენტორი აძლევს, როგორც წერილობით, ასევე ზეპირ უკუკავშირს.
პროგრამის ხელმძღვანელი, ცისანა ლომაშვილი მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. მისი განცხადებით საუბარია იმაზე, რომ დამამთავრებელ კურსზე ზეპირი და წერითი გამოცდის გარდა გამოყენებულ იქნას თანამედროვე მეთოდები - დასკვნითი გამოცდის სახით, დაწესებულებას კლინიკური უნარების შესაფასებელი გამოცდა OSCE აქვს მეხუთე კურსის ბოლოს, რაც განპირობებულია იმ კონცეფციით, რაც პროგრამას უდევს საფუძვლად, რომ OSCE-ს გამოცდა, რომელიც კლინიკურ უნარ-ჩვევას აფასებს არის სტანდარტიზებული გარემოში, ანუ სტუდენტმა წინასწარ იცის რას შეეკითხებიან, იცის სადგურის სტრუქტურა, წინასწარ აქვს ჩამონათვალი და აბარებს ან მანეკენზე ან სტანდარტიზებულ პაციენტზე, რომელიც არის მსახიობი, წინასწარ აქვს მიცემული სცენარი და თამაშობს როლს, რომელსაც ასევე წინასწარ არიან გაცნობილი სტუდენტიც. რაც შეეხება მეექვს კურსს კონცეპტუალურად განსხვავებულია მთელი დანარჩენი კურსებისგან, რადგან ეს არის რეალური, სამუშაო გარემო, რაც სტანდარტიზებულია, რომლის შეფასების სისტემა არის WBA და პროგრამაში ასეთი შეფასებები არსებობს, რაც გადაცემული იყო არგუმენტირებულ პასუხშიც, შემუშავებული და ნაწილობრივ განხორციელებულია შესაბამისი ჩამონათვალი, ამიტომ მეექვსე კრუსის ბოლოს, როდესაც სტუდენტი დამოუკიდებლად მუშაობს პაციენტთან და არასტანდარტიზებულ გარემოში ფასდება დამკვირვებლის მიერ, რომელიც არის დაწესებულების კლინიცისტი, იქ უკვე არა რაციონალურია, რომ ბოლოში სტანდარტიზებული გამოცდა OSCE გააკეთონ, რადგან ეს არის სხვა დონე, ანუ OSCE-ზე უფრო მაღალი დონეა, რადგან სტუდენტს ყველა დისციპლინა დამთავრებული აქვს, მეექვსე კურსზე გადიას სინდრომულ დიაგნოსტიკას, რაც კლინიკურ მსჯელობას მოითხოვს, რაც ასახულია ზეპირ გამოცდაში, სადაც სტუდენტები აკეთებენ OSCE-ს ზოგიერთი სადგურის დავალებას, განსაზღვრავენ და ინტერპრეტაციას უკეთებენ ლაბორატორიულ მონაცემებს, აკეთებენ პაციენტის დიაგნოსტირებას და საკმაოდ რთული დავალებები ეძლევათ დამამთავრებელ გამოცდაზე. რაც შეეხება კლინიკური უნარ-ჩვევების შემოწმებას, ისინი მოწმდება რეალურ პაციენტზე გასინჯვის პროცედურის ან სხვა პროცედურის ჩატარების დაკვირვების რეჟიმში. საბოლოოდ გავიდა თუ არა იმ კონკრეტულ კომპეტენციაზე, რაც გულისხმობდა სამუშაო გარემოში სტუდენტის ქმედებას, ამას აფასებს პორტფოლიოს კომისია, სადაც ხდება ამ ფორმატიული შეფასებისა და ახალი თანამედროვე ფორმების აკუმულირება, პორტფოლიოს კომისია გადაწყვეტს კომპეტენციაზე გავიდა თუ არა სტუდენტი.
რექტორმა, ირინე შოთაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით ორივე რეკომენდაცია კომპონენტებიდან 2.1 და 2.3, რომელიც შეეხებოდა ქართულენოვანი სამედიცინო სახელმძღვანელოებისა და ინკლუზიური განათლების პოლიტიკას, შეიძლება ფორმულირდეს რჩევის სახით, რადგან სცდება ერთი კონკრეტული ინსტიტუციის კომპეტენციას. მან აღნიშნა, რომ ინკლუზიური განათლების პოლიტიკის შესახებ რეკომენდაცია თავდაპირველ დასკვნაში იყო რჩევის სახით, შესაბამისად დაწესებულებამ არ გასცა პასუხი.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და სთხოვა დაეკონკრეტებინა მიღების წინაპირობებისა და ინკლუზიური განათლების პოლიტიკის შესახებ, საიდან წამოვიდა აღნიშნული რეკომენდაცია.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ განაცხადა, რომ დოკუმენტაციის ძირითადი ნაწილი იყო პორტფოლიოსთან დაკავშირებით, მან კი ეძება სილაბუსებშიც, და ვერ იპოვა, შესაბამისად დაინტერესდა გამოთხოვილი ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფს და არ დააკმაყოფილა თუ რატომ წამოვიდა ბევრი კითხვა. მან აღნიშნა 4.2 კომპონენტში არსებული რჩევა: „საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გადამზადება სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში ატარებდეს რეგულარულ ხასიათს მედიცინის დარგობრივი დოკუმენტის ადამიანური რესურსისადმი სპეციალური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით“ - დაინტერესდა თუ რის საფუძველზე წარმოიშვა აღნიშნული.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინე ფხაკაძემ, განმარტა, რომ პროგრამის აღწერილობით ნაწილშია ასეთი ჩანაწერი და შესაბამისად გაჩნდა კითხვა თუ როგორ ხდება აღნიშნული უნარების შეფასება/დადასტურება, ანუ აპლიკანტი, რომელიც ჩააბარებს ეროვნულ გამოცდებს და დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომ შესაბამისი ვაკანტური ადგილების ფარგლებში გახდეს პროგრამის სტუდენტი ხდება თუ არა დამატებით საუნივერსიტეტო გამოცდის ორგანიზება, რადგან აღნიშნული ჩანაწერი არის პროგრამაში.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, დააზუსტა ეს ეხებოდა თუ არა ინკლუზიურ განათლებას.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინე ფხაკაძემ, განაცხადა, რომ პროგრამის აღწერილობით ნაწილში, პროგრამის წინაპირობის განსაზღვრის დროს არის ასეთი ჩანაწერი.
საბჭოს წევრი, გაიანე სიმონია, დაინტერესდა დააკმაყოფილა თუ არა პასუხმა ექსპერტთა ჯგუფი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინე ფხაკაძემ, განმარტა, რომ როდესაც ხდება პროგრამების შეფასება, თუნდაც ყოველგვარი კომუნიკაციის გარეშე, ონლაინ ვიზიტები მაინც, რომ იყოს შესაძლებელია სრული სურათი ვერ მიიღონ, მაგრამ რა თქმა უნდა გაცილებით კომფორტულია, როდესაც დაწესებულების წარმომადგენლებთან ონლაინ მაინც აქვთ კომუნიკაცია, აქ საუბარი არ არის Offline ვიზიტებზე და მხოლოდ დოკუმენტაციით გაცნობის შედეგად მეტი კითხვები ჩნდება და დაზუსტებას მოითხოვს, რეკომენდაციები მომზადებულია დაწესებულებაში ვიზიტისა და ინტერვიუების გარეშე, მხოლოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ხდება შემოწმება, ექსპერტი დარწმუნებულია, რომ პროცესები გაცილებით უფრო მაღალ დონეზე მიმდინარეობს, უბრალოდ, მთავარია წარმოდგენილი დოკუმენტაციაც იგივე შედეგს იძლეოდეს, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები, რომლებიც ნამდვილად არის გამოყენებული აღნიშნული პროგრამების დოკუმენტაციაში, შეიძლება სრულად ვერ აღწერდეს იმ სურათს თუ როგორ ხორციელდება რეალურად უნივერსიტეტში, რეკომენდაციების/რჩევების მიზანიც ეს არის, რომ რადგან მონიტორინგის ფარგლებში არ აქვთ ინტერვიუს საშუალება, ვერ ახერხებენ ინფორმაციის გადამოწმებას სხვადასხვა საფეხურზე და ვერ იღებენ სრულ ინფორმაციას, ცხადია ამ ინფორმაციას ელოდებიან პროგრამებიდან, სილაბუსებიდან და სხვადასხვა დანართებიდან.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, განაცხადა, რომ მისთვის გასაგებია. დასძინა, რომ ცოტა რთულია ეს სფერო და როგორც საბჭოსთვის უკვე ცნობილია ხშირად უხდებათ ხოლმე საუბარი.

**18:19 საათზე საბჭო დატოვა დიანა მჭედლიშვილმა.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინე ფხაკაძემ, განმარტა, რომ ჩანაწერში არ არის დაკონკრეტებული ეხება ნებისმიერ აბიტურიენტს, რომელმაც გადალახა და ჩაირიცხა თუ იმ ერთეულ შემთხვევებს.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, განაცხადა, რომ ამ კითხვას დაწესებულებამ უნდა უპასუხოს, თუმცა მისთვის გაუგებარია აღნიშნული რამდენად არის რეკომენდაცია. მისი თქმით

სხდომაზე დამსწრეთა ნაწილი მონაწილეობს, მათ შორის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეც, ახალი დარგობრივი სტანდარტის შექმნაში და მათ არ ჰქონიათ მკაცრი მითითება, თუმცა აპირებენ შემოიღონ VTBA და მეტ თავისუფლებას აძლევენ ინსტიტუციას აირჩიონ თუ რა სახით სურთ სწავლება, რაც გაგზავნილიც იყო, მათ შორის VTBA, შეფასებები, თუმცა ახალი დარგობრივი სტანდარტი ჯერ არ არის ძალაში შესული, შესაბამისად მისთვის რთულია მკაცრი მოთხოვნა, მაგ., პორტფოლიო არ არის მკაცრი მოთხოვნა, ინსტიტუციას შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ გააკეთოს ქულობრივი გადანაწილება და რუბრიკები, ამიტომ ძალიან რთულია შეფასება, თუმცა თავს უფლებას აძლევს შეაფასოს, რადგან ორივე დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებაში აქვს მიღებული მონაწილეობა, ამიტომ ამბობს, რომ ძალიან რთულია და რამდენად შესაძლებელია რეკომენდაციაში გაიტანონ ის, რასაც ჯერ-ჯერობით არ ითხოვენ. ახალ დარგობრივშიც არის აუცილებლად გასაკეთებელი და სასურველი. მას არაერთხელ შეემთხვა, რომ ის რაც არ არის დღევანდელ დარგობრივ სტანდარტში გათვალისწინებული და ეროვნულ დონეზე მუშაობენ ამ კონცეფციაზე, მაგ., დამამთავრებელ კურსებზე შემოღებულ იქნას EPA, სანდო პროფესიული აქტივობები, მასთან დაკავშირებული, სამუშაო ადგილზე შეფასება და არა სიმულატორებზე, აპირებენ კონცეფციის სახით, ბალტიის ქვეყნებს უკვე შემუშავებული აქვთ, მაგრამ საქართველოში ჯერ არ არის, მაგრამ ინსტიტუცია აკეთებს, რა შეიძლება გაკეთდეს ამ შემთხვევაში. მან გაიხსენა ერთი შემთხვევა, როდესაც EPA ერთ-ერთ დაწესებულებას ჩატანილი ჰქონდა პირველ და მეორე კურსზე სტუდენტების მუშაობისას, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი დალაგდა, მას შეეშინდა, რომ იგივე სიტუაციაში არ აღმოჩენილიყვნენ, რადგან ის, რაც საუკეთესო პრაქტიკაში გავა, მაგრამ დღეს არ არის ამის მოთხოვნა, რომ კურსელები, რომლებიც შემდეგ გადაებმება რეზიდენტურას შეფასებულნი იყვნენ კლინიკურ გარემოში და ფორმაციულ შეფასებას მეტი აქცენტი უკეთდება ვიდრე სუმაციურს ეს, რასაც აკადემია ამბობს, რომ სუმაციურზე უფრო ნაკლები აქცენტი კეთდება ვიდრე ფორმაციულზე, ანუ თუ მართლა ახორციელებენ მეექვსე კურსელების შეფასებას სამუშაო ადგილზე, ჩექლისთებით და პორტფოლიოს შეჯამება, საბჭოს წევრი ამას ხარვეზად ვეღარ განიხილავს, რადგან აპირებენ შემოიტანონ დარგობრივში, შეფასება მოხდეს OSCE-თი ან სამუშაო ადგილზე შეფასებით, ეს იქნება დაწესებულების არჩევანი. პორტფოლიოს კომპონენტები ნამდვილად შეიძლება განიხილოს/შეფასდეს სხვადასხვანაირად. საბჭოს წევრი დაინტერესდა აქვს თუ არა დაწესებულებას ელექტრონული პორტფოლიო.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ აქვთ ელექტრონული პორტფოლიო.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, დასძინა, რომ თუ საუბარია იმაზე რატომ არის სამუშაო ადგილზე შეფასება მეექვსე კურსზე აქცენტი მაგაზე გადატანილი, ვიდრე სუმაციურ შეფასებაზე, დარგობრივი სტანდარტის შემუშავებაში ჩართული პირების აზრიც ამ მიმართულებით არის, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, რომ ყველა უცხოელი ექსპერტი ურჩევს მეტი აქცენტი გააკეთონ ფორმაციულ შეფასებაზე, რადგან სხვანაირად წარმოუდგენელია კომპეტენციების სრულად ათვისება. ასევე, მან გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია, რომ მათ არ შეეძლოთ უშუალოდ ინტერვიუების ჩატარება და დეტალურად გამოკითხვა, მისთვის რთულია კოლეგებს უთხრას, რომ დარგობრივ სტანდარტში შედის ეს ცვლილება, როგორც უფრო კარგი, მაგრამ ამ შემთხვევაში დაწესებულებას უნდა ჩაეთვალოს რეკომენდაციად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათ მკაცრად არ გაუწერიათ, რომ დაეგეგმათ პორტფოლიო, ეს არის პროგრამაში მესამე და მეთორმეტე სემესტრში, აქვს მინიჭებული კრედიტი, როგორც სასწავლო კურსებს, 2-2 კრედიტით არის წარმოდგენილი და ამან გამოიწვია, რომ რადგან პროგრამა პორტფოლიოს იყენებს, უნდა არსებობდეს უფრო მეტი ინფორმაცია, სტუდენტისთვის გამჭვირვალე, ექსპერტთა ჯგუფს არ აქვს მიდგომა, რომ დაწესებულებას პორტფოლიო არ აქვს და უნდა ჰქონდეს.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ, დააზუსტა არის თუ არა ცალკე გაწერილი, რადგან თვითონ ვერ ნახა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამის აღწერილობით ნაწილში არის ინფორმაცია პორტფოლიოს შესახებ, მაგრამ, მაგ., როდესაც ისწავლება 60 სასწავლო კურსიანი მოდული, თითოეულს აქვს საკუთარი სილაბუსი, ყველანაირი ინფორმაცია სასწავლო კურსის შესახებ, მაგრამ პორტფოლიო (1, 2), რომელიც პროგრამაში ზის კრედიტით რადგან არის, უმჯობესია ამ 4 კრედიტის შესახებ ინფორმაცია მოიპოვებოდეს ჩარჩოს სახით.
პროგრამის თანახელმძღვანელმა, მაია ზარნაძემ, განაცხადა, რომ აკადემიას შემუშავებული აქვს პორტფოლიოს კონცეფცია საერთაშორისო გამოცდილების მქონე უნივერსიტეტის ჩართულობით, კონცეფციაში გაწერილია, პორტფოლიოს დავალებები, შეფასების სისტემა, კრედიტების განაწილება, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში შესთავაზა ექსპერტებს, რომ მოთხოვნის შემთხვევაში გადაუგზავნიდნენ პორტფოლიოს კონცეფციას, ექსპერტთა ჯგუფს არ მოუთხოვია აღნიშნული კონცეფცია და შესაბამისად დაწესებულებამაც აღარ გადააგზავნა,
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინე ფხაკაძემ, აღნიშნა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში იყო „ჩექლისტებისა“ და დამატებითი დოკუმენტების გაგზავნაზე საუბარი და არა იმ დოკუმენტების რაზეც გადის რეკომენდაცია.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, დასძინა, რომ ეს არ არის სრული პასუხი დაწესებულებისგან, მან განაცხადა, რომ ვინაიდან სტუდენტები ეცნობიან პორტფოლიოს შინაარსს, რადგან სხვანაირად წარმოუდგენელია მინიჭებული ჰქონდეს კრედიტი, მისი მოსაზრებით საბჭოს სრული პასუხი უფრო დააინტერესებდა.
პროგრამის თანახელმძღვანელმა, მაია ზარნაძემ, განაცხადა, რომ პორტფოლიო დაიწყეს ახალი აკრედიტირებული პროგრამის ფარგლებში, საპილოტე რეჟიმში, ეს არის რეფლექსური პორტფოლიო, რომელსაც წარმართავს მენტორი, რომელსაც ჰყავს 15 სტუდენტი და პორტფოლიოს ფარგლებში სტუდენტები წერენ თვითრეფლექსიას, გიფსის ციკლის მიხედვით, შესაბამის დავალებაზე, რაც ასევე სტრუქტურირებულია, ამის შემდეგ პორტფოლიოს მენტორი აძლევს ზეპირ/წერილობით უკუკავშირს, პორტფოლიოს შეფასება ხდება რუბრიკის მიხედვით, რომელშიც გაწერილია ფასბეილის კრიტერიუმები და პორტფოლიოს დავალების შესრულება ეს არის გარკვეულ საგნებში ფინალურ გამოცდაზე გასვლის წინაპირობა, რა თქმა უნდა სტუდენტები წინასწარ ეცნობიან პორტფოლიოს დავალებებსაც და იმასაც თუ როგორ მოხდება მისი შეფასება.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, პროგრამის თანახელმძღვანელს სთხოვა კიდევ ერთხელ არა ექიმებისთვის გასაგებ ენაზე განემარტა პორტფოლიოს შესახებ ინფორმაცია.
პროგრამის თანახელმძღვანელმა, მაია ზარნაძემ, გააზიარა პორტფოლიოს კონცეფცია და განმარტა, რომ სემესტრში ერთხელ სტუდენტი წერს თვითრეფლექსიას გარკვეულ დავალებასთან დაკავშირებით, მაგ., პირველკურსელი სტუდენტები მიდიან კლინიკურ გარემოში, ესწრებიან პაციენტის ვიზიტს ექიმთან და აღნიშნულთან დაკავშირებით წერენ თვითრეფლექსიას, რაც შეეხება გიფსის ციკლს - ეს არის საერთაშორისოდ მიღებული ჩარჩო, რომლის მიხედვითაც სტუდენტი აღწერს თუ რა სიტუციაში მოხვდა, რა შეგრძნებები ჰქონდა, რა გააკეთა კარგად, რა ვერ გააკეთა კარგად, რის გამოსწორებას ისურვებდა და სახავს სამოქმედო გეგმას, რომ მომავალში თუ მსგავს სიტუაციაში მოხვდება რას გააკეთებს განსხვავებულად, რის საფუძველზეც შემდეგ იწერება პერსონალური განვითარების გეგმა, აღნიშნული პორტფოლიო აკადემიაში არის სწავლებისა და შეფასების ინოვაციური მეთოდი, რომელიც ეხმარება სტუდენტს კომპეტენციების განვითარებასა და მიღწევაში. მან დასძინა, რომ თითოეულ სემესტრში ასე გრძელდება მეხუთე კურსის ჩათვლით, წერენ თვითრეფლექსიასა და პირადი განვითარების გეგმას.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, ივარაუდა, რომ ყველასთვის გასაგები იყო.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ, განმარტა, რომ თუკი თავიდანვე იქნებოდა აღნიშნული ფაილი დოკუმენტებში ყველასთვის გასაგები იქნებოდა.
პროგრამის თანახელმძღვანელმა, მაია ზარნაძემ, განაცხადა, რომ პირველად დოკუმენტებში აღნიშნული ფაილი მოთხოვნილი არ იყო.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, განაცხადა, რომ პორტფოლიოს რეკომენდაცია არსებობს მოქმედ დარგობრივ სტანდარტებში, ზოგიერთი დაწესებულება ახორციელებს, ზოგი არა, მაგრამ ეს არ ითვლება ხარვეზად, შესაძლებელია იყოს მედიცინის სკოლა/პროგრამა სადაც პორტფოლიო არ იქნება და ეს დღეს ხარვეზად არ ითვლება, იგივე არის სამუშაო ადგილზე შეფასებაც, ეს არის კონცეფციის დონეზე, რის შემუშავებაშიც თვითონაც არის ჩართული, ეს შემდეგ უნდა წაიღონ სამინისტროებში, რაც ნიშნავს, რომ უნდა ააშენონ ხიდი დიპლომამდელი და დიპლომის შემდეგ განათლებას შორის, რომელიც დღეს საქართველოში არის ჩატეხილი და ვერ იღებენ ექიმს, როგორიც უნდა იყოს, რაშიც ალბათ ყველა დარწმუნდა, განსაკუთრებით ბოლო წლებში, მაგრამ დღევანდელ დღეს ეს მუშავდება, აკადემიამ, როგორც ჩანს დაიწყო ნაწილის კეთება მეექვსე კურსზე, ამიტომ მისთვის რთულია ამ ყველაფრის ხარვეზად ჩათვლა, როგორ უნდა ჩათვალონ ხარვეზად ის რის გაკეთებასაც ისედაც აპირებენ.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, მაია ზარნაძემ, აღნიშნა, რომ აკადემიაში ფუნქციონირებს ინოვაციების ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს ანტვერპენის უნივერსიტეტის პროფესორი იოკ დენეკენსი და სწორედ მისი ჩართულობით შემუშავდა ეს კონცეფცია, მისი ჩართულობით წინა წელსაც მოხდა პორტფოლიოს მენტორების ტრენინგი და ამჟამადაც მიმდინარეობს.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, განაცხადა, რომ პორტფოლიოს კონცეფცია და განხორციელება ყველა ინსტიტუციას შეუძლია სხვადასხვაგვარად, საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე სწორს ამბობდა, რეალურად, პორტფოლიო არის CV, თუ რას აკეთებდა 6 წლის განმავლობაში, აკადემია მისდევს ანტვერპენს, სხვამ შეიძლება ინგლისური გამოიყენოს, დღეს არ არის მითითება, მაგრამ ახალ დარგობრივში უკვე ჩადებულია, არის გაიდლაინების ჩამონათვალი და თუ ინსტიტუციას ენდომება შეუძლია ამოირჩიოს და გაყვეს გაიდლაინს.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ შეახსენა მის მიერ რჩევასთან დაკავშირებით დასმული კითხვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინა ფხაკაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა დანართი, სადაც მითითებული იყო რამდენიმე გადამზადების ტრენინგ-კურსის მოდული სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ, თუმცა რამდენი პირი გადამზადდა ასახული არ იყო, შესაბამისად მომზადდა რეკომენდაცია, პროგრამები, რომლებიც მიმართულია უმაღლესი სამედიცინო განათლების მიმართულებით სტაფის გადამზადებისაკენ, რეალურად მასობრივად იყოს გაზიარებული.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, განაცხადა, რომ გახსნილია ცენტრი და ასე იყო დაგეგმილი რომ ტიოტის პრინციპით, ჯერ მათთან გაივლიდნენ და შემდეგ დაწესებულებები უნდა გადასულიყვნენ ტიოტის პრინციპზე, რადგან ტრენინგებს ატარებდნენ საერთაშორისო ექსპერტები და შემდეგ უკვე ადგილზე ხდებოდა, რადგან დაემთხვა პანდემია, დაიწყო 2019-ში და ვეღარ მოესწრო, მითუმეტეს ფასიანია, გაჭიანურდა პროცესი და ახლა არიან სტადიაზე, ვერცერთი ინსტიტუცია ტიოტის პრინციპით მთელ სტაფს ვერ გადაამზადებს, დაარღვევენ სამართლიანობის პრინციპს, ჰქონდა მხოლოდ თსსუ-ს, რადგან მათ ჰქონდათ ცალკე, დანარჩენ უნივერსიტეტებს არ აქვთ რადგან ახლა პროცესში არიან.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, მაია ზარნაძემ, განმარტა, რომ აკადემიის წარმომადგენლები ესწრებიან ტრენინგებს, რომელსაც ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის მიერ არის მომზადებული, რისთვისაც მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს, გაიანე სიმონიას, დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო ინოვაციების ცენტრი ანტვერპენის უნივერსიტეტის ჩართულობით, რომელიც სამედიცინო განათლების მიმართულებით პერიოდულად ატარებს ტრენინგებს, როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალისთვის, დაწესებულებას აქვს ამის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც, რომელიც გადაგზავნილია ექსპერტებისთვის და მათ ნარატივშიც აქვთ აღწერილი, რომ დაწესებულება ზრუნავს მოწვეული და აკადემიური პერსონალის სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიის მიმართულებით განვითარებაზე.

ექსპერტმა, ია ფანცულაიამ, განმარტა, რომ ეს იყო რჩევა, რომ მოხდეს ტრენინგების გაგრძელება.

**4. მეოთხე საკითხი:** შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან დამტკიცების შესახებ“ შესაბამისობაში მოყვანის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

| № | **ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მედიცინა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტირებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | გადაწყვეტილება №599368, 14.07.2020 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ერთსაფეხურიანი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | - |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0912 მედიცინა |
| 12 | სწავლების ენა | ინგლისური |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 360 ECTS |
| 14 | განხორციელების ადგილი | ქ. წამებული 51/2, თბილისი, 0104, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შემოწმებულ იქნა პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები, აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, შეფასდა შემდეგნაირად: პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი კი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინე ფხაკაძემ, განაცხადა, რომ მონიტორინგი განხორციელდა იგივე ექსპერტების მიერ, რეკომენდაციები მომზადებულ იქნა 1.2 კომპონენტთან, 2.1, 2.3 და 2.6 კომპონენტთან დაკავშირებით, ფაქტობრივად განსხვავებული რეკომენდაციები არ არის.

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

**1.2. კომპონენტი:**

პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მუხლი 1 თანახმად, შემდეგი სახით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა;

**2.1. კომპონენტი:**

დაზუსტდეს და გახდეს გამჭვირვალე პროგრამაზე მიღების წინაპირობა აპლიკანტებისათვის მათგან დამატებით მოთხოვნილი პრაქტიკული უნარების, მეტყველების, მხედველობისა და სმენის უნარების შეფასების მექანიზმების დაკონკრეტების სახით;

**2. 3. კომპონენტი:**

მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსებს განესაზღვროს კონკრეტული მიზნები კურსის შინაარსთან შესაბამისობაში; ამავე კურსებში დაზუსტდეს „ცოდნის“ კომპეტენცია მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსებში შინაარსის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი ფორმულირება;

**2. 6. კომპონენტი:**

- მკაფიოდ გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები კურსის შინაარსის მიხედვით, სხვადასხვა კომპონენტში ქულების დაგროვების მექანიზმი გახდეს გამჭვირვალე სტუდენტისთვის მათთან უკუკავშირის მიზნით;
- რეკომენდირებულია კლინიკურ კურსებში, განსაკუთრებით დამამთავრებელ წელს შემაჯამებელი შეფასების მიზნით დასკვნითი გამოცდების ჩატარება არა მხოლოდ ტესტირებითა და ზეპირი გამოცდით, არამედ ცოდნისა და კლინიკური უნარების შეფასებისათვის შესაბამისი თანამედროვე მეთოდოლოგიით;
- დაზუსტდეს რიგ კურსებში დასკვნით გამოცდაზე გასვლის დამატებითი წინაპირობა პორტფოლიოს დავალებების (ფასდება Pass/Fail) დამაკმაყოფილებლად შესრულებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ ორ პროგრამას შორის ძირითადი განსხვავება არის სასწავლო ენა, ორივე პროგრამა ორგანიზებული და დაგეგმილია ერთნაირად.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
რექტორი, ირინე შოთაძემ განმარტა, რომ ვინაიდან გაცემულია იგივე რეკომენდაციები დაწესებულების არგუმენტაციაც იგივეა.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამაზუსტებელი კითხვები.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 18:42**
**დასრულების დრო: 19:10**

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „სამკურნალო საქმის" ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან"; მეორე სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", რადგან ასევე მიზანშეწონილია 2.1 და 2.6 კომპონენტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „სამკურნალო საქმის" ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

**აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:**
**რეკომენდაციები:**
ა) მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსებს განესაზღვროს კონკრეტული მიზნები კურსის შინაარსთან შესაბამისობაში; ამავე კურსებში დაზუსტდეს „ცოდნის" კომპეტენცია მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსებში შინაარსის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი ფორმულირება;
ბ) რეკომენდირებულია ცალკეულ სილაბუსებში განახლდეს სასწავლო ლიტერატურა;

**რჩევები:**
ა) პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მუხლი 1 თანახმად, შემდეგი სახით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა;

ბ) მოხდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება ახლანდელ დროში; დაკორექტირდეს სწავლის შედეგებში კომპეტენციების განსაზღვრებები „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად;
გ) დაზუსტდეს რიგი სასწავლო კურსების წინაპირობები კურსის შინაარსთან მიმართებაში;
დ) გადაიხედოს სასწავლო მასალად ცხოველის ორგანოების მაკროპრეპარატების გამოყენების პრაქტიკა, სტუდენტის მიერ გაკვეთის უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, უკანასკნელი მეთოდის კეთილსაიმედოობის, უვნებლობის, ჰიგიენური მოთხოვნებისა და ცხოველთა საექსპერიმენტოდ გამოყენების წესების დაცვის თვალსაზრისით;
ე) შემუშავებულ იქნას პორტფოლიო I და პორტფოლიო II განხორციელების პირობების, შეფასების, შემფასებლების შესახებ ჩარჩო/აღწერილობა ან სილაბუსი, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას თუ როგორ უნდა აითვისოს შესაბამისი კრედიტი;
ვ) მკაფიოდ გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები კურსის შინაარსის მიხედვით, სხვადასხვა კომპონენტში ქულების დაგროვების მექანიზმი გახდეს გამჭვირვალე სტუდენტისთვის მათთან უკუკავშირის მიზნით;
ზ) დაზუსტდეს რიგ კურსებში დასკვნით გამოცდაზე გასვლის დამატებითი წინაპირობა პორტფოლიოს დავალებების (ფასდება - Pass/Fail) დამაკმაყოფილებლად შესრულებასთან დაკავშირებით;
თ) საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გადამზადება განხორციელდეს რეგულარულად სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში ყოველი 2 წლის განმავლობაში მედიცინის დარგობრივი დოკუმენტის ადამიანური რესურსისადმი სპეციალური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „სამკურნალო საქმის“ ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „სამკურნალო საქმის“ ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;

მეორე სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რადგან ასევე მიზანშეწონილია 2.1 და 2.6 კომპონენტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

**აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:**
**რეკომენდაციები:**
ა) მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსებს განესაზღვროს კონკრეტული მიზნები კურსის შინაარსთან შესაბამისობაში; ამავე კურსებში დაზუსტდეს „ცოდნის“ კომპეტენცია მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსებში შინაარსის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი ფორმულირება;
ბ) რეკომენდირებულია ცალკეულ სილაბუსებში განახლდეს სასწავლო ლიტერატურა;

**რჩევები:**
ა) პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მუხლი 1 თანახმად, შემდეგი სახით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა;
ბ) მოხდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება ახლანდელ დროში; დაკორექტირდეს სწავლის შედეგებში კომპეტენციების განსაზღვრებები „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად;
გ) დაზუსტდეს რიგი სასწავლო კურსების წინაპირობები კურსის შინაარსთან მიმართებაში;
დ) გადაიხედოს სასწავლო მასალად ცხოველის ორგანოების მაკროპრეპარატების გამოყენების პრაქტიკა, სტუდენტის მიერ გაკვეთის უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, უკანასკნელი მეთოდის კეთილსაიმედოობის, უვნებლობის, ჰიგიენური მოთხოვნებისა და ცხოველთა საექსპერიმენტოდ გამოყენების წესების დაცვის თვალსაზრისით;
ე) შემუშავებულ იქნას პორტფოლიო I და პორტფოლიო II განხორციელების პირობების, შეფასების, შემფასებლების შესახებ ჩარჩო/აღწერილობა ან სილაბუსი, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას თუ როგორ უნდა აითვისოს შესაბამისი კრედიტი;
ვ) მკაფიოდ გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები კურსის შინაარსის მიხედვით, სხვადასხვა კომპონენტში ქულების დაგროვების მექანიზმი გახდეს გამჭვირვალე სტუდენტისთვის მათთან უკუკავშირის მიზნით;
ზ) დაზუსტდეს რიგ კურსებში დასკვნით გამოცდაზე გასვლის დამატებითი წინაპირობა პორტფოლიოს დავალებების (ფასდება - Pass/Fail) დამაკმაყოფილებლად შესრულებასთან დაკავშირებით;
თ) საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გადამზადება განხორცილდეს რეგულარულად სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში ყოველი 2 წლის განმავლობაში მედიცინის დარგობრივი დოკუმენტის ადამიანური რესურსისადმი სპეციალური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „მედიცინის“ ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

**დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 15 ოქტომბერს 19:13 საათზე.**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ